სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 11 ივნისი 2008 №132 (3356) ფასი 50 თეთრი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ახალი ფორმატი

12x3

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ გადაწყვიტა: 2008-2009 წლების სეზონში ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 12 გუნდი ითამაშებს, ჩემპიონატი კი სამ წრედ ჩატარდება.

12-გუნდა ჩემპიონატის თაობაზე ჯერ კიდევ ერთი წლის წინ იყო ნათქვამი, მაგრამ არაერთი შემთხვევა გვახსენდება, ფორმატი ბოლოწამს რომ შეცვლილა. ამგვარი ცვლილების ეჭვი ახლაც გვქონდა, როცა ზოგიერთის ოპტიმისტური ხმები გაისმა გავარდნილი „ბათუმის“ უმაღლეს ლიგაში დატოვების შესახებ.

ახლა კი საბოლოოდ გადაწყდა, რომ ახალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში 12 გუნდი ითამაშებს — იმედია, ის გუნდები, ეს უფლება სპორტული პრინციპით რომ მოიპოვეს.

თუმცა აქამდე გადაწყვეტილი არ იყო, ეს 12 გუნდი რამდენ წრედ ითამაშებდა და ახლა ესეც ითქვა — სამ წრედ.

მსოფლიო ფეხბურთის პრაქტიკაში სამწრიანი ჩემპიონატის პრეცედენტები არსებობს, თუმცა ერთი უხერხულობა ამ ფორმატს მაინც ახლავს. კონკრეტული მაგალითი განვიხილოთ. თუ ბრმა წილისყრას მივენდობით, შეიძლება ისე მოხდეს, რომ ვთქვათ, „ზესტაფონს“ „დინამოსთან“, „ვიტ ჯორჯიასთან“ და „ამერთან“ ორ-ორი მატჩის სტუმრად ჩატარება მოუხდეს და მხოლოდ თითოსი — შინ. ცხადია, ამგვარი პერსპექტივა კლუბს დაჩაგრულად აგრძნობინებს თავს და რეალურადაც, სხვადასხვა გუნდების არათანაბარ პირობებში ჩაყენება გამოვა.

ამდენად, ტურების განაწილებისას, ბრმა წილისყრაზე მინდობის ნაცვლად, რაიმე სხვა სისტემის მოფიქრებაა საჭირო, რათა თორმეტივე გუნდი მაქსიმალურად თანაბარ პირობებში იყოს.

დავიდ ვილიას ფასი მთელი ДЕРЖАВА არ არის

ევროპაზე, როგორც იქნა, გოლები წამოვიდა

და მაინც, იყო თუ არა თამაშგარე?

იტალიელთა კარში ვან ნისტელროის გოლის გამო მეორე დღეა, მთელ ევროპაში კამათობენ

იხილეთ მე-3 და მე-12 გვერდები

26 კორუმპირებული მსაჯი

ამასწინათ იყო, მსაჯების მოსყიდვის გამო პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ „პორტუ“ და „ბოავიშტა“ რომ დასაჯა, უეფამ კი წიხლი მიაყოლა — „პორტუ“ ჩემპიონთა ლიგიდან მოკვეთა.

იმ საქმეს ოთხი არბიტრიც შეეწირა, რომლებმაც ექვსწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღეს.

გამოძიება კი ამით არ დასრულებულა და ახლა გამოცხადდა: პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ კორუფციაში 26 მსაჯი ამხილა და საქმიანობა აუკრძალა. დანაშაულის სიმძიმის მიხედვით ისინი ერთიდან ათ წლამდე ვადით მოიკვეთებიან.

შედარებისთვის: საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გუშინწინდელ დაჯილდოვებაზე 2007-08 წლების სეზონის სამ საუკეთესო ქართველ მსაჯს შორის დასახელდა ის არბიტრიც, რომელსაც ამ სეზონში სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა მისჯილი ცუდი მსაჯობისთვის.

მსაჯობის, და არა მარტო მსაჯობის თემას ქართულ ფეხბურთში „სარბიელი“ ახალი სეზონის დაწყებამდე, რა თქმა უნდა, მიუბრუნდება. საკითხავი ეგ არის, ჩვენს დასაბუთებულ არგუმენტებს რეაგირება მოჰყვება თუ არა. დღეს კი საგულისყურო ცნობად მივიღოთ: პორტუგალიაში 26 მსაჯი დაისაჯა...

ბადრი კვირიკაძის ფოტო

პროფლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი

12 გუნდი და 3 წრე

ჩემპიონატი ახლებურად ჩატარდება

გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში გამგეობის სხდომა გაიმართა და ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების ფორმატი კიდევ ერთხელ შეიცვალა.

გადაწყდა, რომ მე-20 ეროვნული ჩემპიონატი 2 აგვისტოს დაიწყება და სამ წრედ ჩატარდება.

თორმეტგუნდა ჩემპიონატის მე-11 და მე-12 ადგილებზე გასულები ადგილს პირველი ლიგის აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებში გამარჯვებულ გუნდებს დაუთმობენ. მე-10 ადგილზე გასულ გუნდს კი პლეი აუტში მოუწევს ბრძოლა პირველი ლიგის აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებში მეორეადგილოსნებს შორის გამარჯვებულთან.

შეიცვალა თასის გათამაშების ფორმატიც — გაუქმებულია ჯგუფური ეტაპი და მომავლიდან ისევ ოლიმპიურ სისტემას დაუბრუნდება.

პროფლიგის გამგეობას სხდომაზე ისიც დაადგინეს, რომ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ერთი კლუბიდან მეორე კლუბში იჯარის წესით მხოლოდ ორი ფეხბურთელის ტრანსფერი იქნება შესაძლებელი.

მიხეილ ჟორჟოლიანი

მჭედლიძეს ნაპოლი გამოუჩნდა

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი ლევან მჭედლიძე ჯერჯერობით საქართველოშია და იტალიურ „ემპოლის" დაახლოებით სამ კვირაში უნდა შეუერთდეს, თუმც არ არის გამორიცხული, ჩვენებურმა კლუბი შეიცვალოს.

სერია B-ში დაქვეითებული „ემპოლის" 18 წლის თედამსხმელის გადაბირება რამდენიმე კლუბს სურს, მათგან ყველაზე მეტ დაინტერესებას კი „ნაპოლი" იჩენს და მზად არის, „ემპოლისთან" მოლაპარაკება დაიწყოს.

ახლა ყველაფერი თავად „ემპოლიზეა" დამოკიდებული, შეელევა თუ არა ახალგაზრდა ფეხბურთელს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

გიორგი ჭელიძე: უფრო გამყიდიან



რამდენიმე დღეა, გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე მოსკოვის „ლოკომოტივის" სარეზერვო გუნდთან ერთად ხოსტაშია შეკრებაზე.

ჭელიძე ბოლოს „ბათუმში" იყო განათხოვრებული და ახლახან დაუბრუნდა მოსკოვურ კლუბს, რომელსაც კიდევ ერთი წლით ეკუთვნის.

— იმხელა დატვირთვები გვაქვს, რომ ლაპარაკიც მიჭირს. კარგი პირობებია და იმედი მაქვს, სეზონს კარგად მომზადებული შევხვდები — გვითხრა გიორგიმ, როცა ხოსტაში დავუკავშირდით.

„პაჭელოს" სამომავლო გეგმებზეც ვკითხეთ, თუმცა გადაჭრით ვერაფერი გვიპასუხა:

— ჯერჯერობით გაურკვევლობაში ვარ. „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობამ მითხრა, გუნდს აუცილებლად მოგიძებნითო. ვნახოთ... ამათ ჩემი გაყიდვა უნდათ, რადგან მერე კონტრაქტი მიმთავრდება და ფულს ველარ აიღებენ. განათხოვრებაზეც იყო ლაპარაკი, მაგრამ უფრო გაყიდვაზე მუშაობენ.

ძახა შალამბერიძე

სახოკია და მიკა მოგვარდა



გშრალ დულუბაევის ფოტო

თბილისის „ვიტ ჯორჯიას" შემტევი ზაზა სახოკია სომხურ „მიკაში" ისინჯებოდა და, როგორც ჩანს, იქაურებს თავი მოაწონა. სომხური ვებგვერდების ცნობით, ქართველმა ფეხბურთელმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა „მიკასთან".

ამჟამად კლუბი მისი საბუთების მოწესრიგებით არის დაკავებული.

„მიკა" ინტერტოტოს თასის გათამაშებაში ითამაშებს. აშტარკელები 21 ივნისს მოლდოვურ „ტილიგულს" უმასპინძლებენ, თუმც სახოკიას დებიუტი, შესაძლოა, ხვალვე შედგეს — სომხეთის ჩემპიონატში „მიკა" ქართველებით დახუნძლულ „განძასარს" ხვდება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ოლეგ ფალალეევის ფოტო

ყაზახეთისა და აზერბაიჯანის მოვლის შემდეგ გიორგი გაბიდაური საქართველოში დაბრუნდა და მე-20 ეროვნულ ჩემპიონატს რუსთავის „ოლიმპში" დაიწყებს. რამდენი ხნით დარჩება იგი საქართველოში ჯერ უცნობია, თუმც საუბარში შევატყვეთ, რომ დიდი ხნით გაჩერებას არ აპირებს.

თავის დროზე გიორგის საქართველოს ნაკრებშიც უთამაშია და გოლიც აქვს გატანილი. ყაზახურ „შახტიორში" კი ერთ-ერთი ლიდერი იყო, კარგად თამაშობდა აზერბაიჯანულ „გაბალაშიც" და მოულოდნელად რუსთავში აღმოჩნდა...

რა მინდოდა აზერბაიჯანში?!

გიორგი გაბიდაური შეცდომას საქართველოში გამოასწორებს

— რუსთავის „ოლიმპში" როგორ მოხვდი?

— ცოტა გამიჭირდა უცხოეთში ყოფნა, ოჯახი აქეთ მყავს, მე იქით ვიყავი. ვარჩიე, ცოტა ხნით საქართველოში დავრჩენილიყავი, ჩემს მენეჯერ მამუკა ჯუღელთან ერთად რუსთავი ავარჩიეთ. „ოლიმპს" სერიოზული მიზნები აქვს, სამომავლოდ სამეულს და უეფას თასზე თამაშს უმიზნებენ.

— აზერბაიჯანში კონტრაქტის გაგრძელება რატომ არ შემოგთავაზეს?

— „გაბალას" მწვრთნელს ფეხბურთი, მგონი, ტელევიზორშიც არ აქვს ნანახი, პრეზიდენტიც ფულის გათეთრებით უფრო არის დაინტერესებული, ვიდრე ფეხბურთით. საერთოდ, აზერბაიჯანში დაბალი დონეა, საფეხბურთო ცოდნა არა აქვთ. ფინანსურად არ უჭირთ, მაგრამ მწვრთნელები, სპეციალისტები აზრზე არ არიან. ბაქოურ გუნდებში კარგად არის საქმე, იქ უცხოელი მწვრთნელები არიან და ფეხბურთსაც კარგად თამაშობენ. მაგრამ ისინიც ლეგიონერების იმედად არიან, პირადად აზერბაიჯანელი ფეხბურთელი არც გამიგია. მაგათ ცენტრალურ სტადიონსაც კი მსაჯის სახელი ჰქვია...

— „გაბალაში" ოთხი ქართველი იყავით...

— ამან უფრო გამატანინა თავი, ბიჭები ერთად ვიყავით.

— იქამდე ყაზახეთშიც გითამაშია...

— ყაზახეთთან შედარებაც არ არის. იქ ყველაფერი უფრო მაღალ დონეზეა. ახლაც მინდოდა, დავბრუნებულიყავი ყაზახეთში, მაგრამ შუა ჩემპიონატში ჩასვლა არ გამოვა, თან ოჯახიც მომენატრა... ალბათ ზამთარში წავალ.

— „შახტიორში" ლიდერი იყავი და იქ რატომ არ გაგიგრძელეს კონტრაქტი?

— თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მოულოდნელად გრიგოლ ლორიამ ბოდიში მომიხადა და მითხრა, რომ მწვრთნელს ჩემი ფეხბურთი არ მოეწონა და სხვა მოიყვანაო. იქაც ლიმიტია ლეგიონერებზე და ამიტომ აღარ გამიგრძელეს კონტრაქტი, თორემ აზერბაიჯანში არც წავიდოდი.

მიხეილ ჟორჟოლიანი

გვაზავა და ლუჩი



ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგია" ავსტრიულ შეკრებაზეა. გუნდს თან ახლავს ქართველი ნახევარმცველი ლევან გვაზავაც.

გუშინ ვლადივოსტოკელებს დასვენების დღე ჰქონდათ და გუნდმაც ექსკურსია ზალცბურგში მოიწყო.

გვაზავა და მისი თანაგუნდელები ალფრთოვანებულები დარჩენილან ქალაქის ღირსშესანიშნაობებით და ამ საჩუქრის გამო მწვრთნელს დიდი მადლობა გადაუხადეს.

„ლუჩ-ენერგია" შინ დღე-დღეზე დაბრუნდება.

ოთარ მხეიძე

გაწყამაწია

ფრიდოლინი, ჩასემი, ხაჭიპერაძე — მოდიან. დაუშვილი, ხიდეშელი, საჯაია — მიდიან

ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. მოგეხსენებათ, ამ თვის ბოლოს ზესტაფონში უეფას კომისია ჩავა და თუ მოიწონა სტადიონი, უეფას თასის მატჩს „ზესტაფონი“ შინ ითამაშებს. გუნდი კი ევროთასებისთვის ბაკურიანში ემზადება. გუშინ მთავარ მწვრთნელ თემურ მახარაძეს შევეხმიანეთ, რომელსაც დაბადების დღე ჰქონდა (59 წლის გახდა) და მილოცვის შემდეგ ინტერვიუ ვთხოვეთ...



გუშინ დოლონჯაშვილის ფოტო

— ბაკურიანში 5 ივნისს ჩამოვედით და ძირითადად ფიზიკურ მომზადებას ვუთმობთ ყურადღებას, ხვალ თბილისში მოვემგზავრებით. 14-ში კი ურეკში წავალთ ბოდღიან შეკრებაზე.

— გუნდთან ერთად ბრაზილიელი ედსონ სანტოსის გარდა არც ერთი ლეგიონერი არ არის. როდის შემოგიერთდებიან?

— ისინი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში თამაშობენ და უახლოეს დღეებში დაგვიბრუნდებიან. მალე ჩამოვლენ ბრაზილიიდან ჟონატასი და ვიეირაც.

— როგორც შევიტყვეთ, ედიკ საჯაიას, გიორგი ხიდეშელს და მურთაზ დაუშვილს „ზესტაფონთან“ კონტრაქტი ამოეწურათ და ბაკურიანში აღარ გამოგყვნენ. მათ გუნდი უკვე დატოვეს?

— ამ ფეხბურთელებს კონტრაქტი დაუმთავრდათ, თუმც ჩვენი დიდი სურვილია, მათ ისევ „ზესტაფონში“ ითამაშონ. კლუბის ხელმძღვანელობა სამივესთან აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს და ვნახოთ... ყველაფერი თავად ფეხბურთელებზეა დამოკიდებული.

— ახალი ფეხბურთელი ხომ არ შეგიმატებიათ?

— ჭიათურის „მაღაროელის“ თავდამსხმელი ზაურ ხაჭიპერაძე ვარჯიშობს ჩვენთან, თუმცა ჯერ მისი დარჩენა არ გადაწყვეტილა.

— როგორც შევიტყვეთ, ბოლნისის „სიონის“ ლეგიონერები, ბოიომო ფრიდოლინი და ერიკ რომეო ჩასემი „ზესტაფონში“ ითამაშებენ...

— ჯერ ეს საკითხი მოლაპარაკების სტადიაშია და წინასწარ ვერაფერს გეტყვით...

ნუკრი ლოლაძე



ინერცია თუ ინიციატივა?

ევრო 2008 ქართული თვალით

ჰოლანდია — იტალია, 26-ე წუთი, ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმა „ნარინჯისფერთა“ შეტევა მწვავე დარტყმით დაამთავრა და რუუდ ვან ნისტელროიმ ახლო მანძილიდან გადაგზავნა ბურთი ჯანლუიჯი ბუფონის კარში.

გოლი ჩაითვალა და იტალიის განადგურებასაც ასე დაედო საფუძველი.

...მაგრამ ეს მომენტი გულზე ლოდად აწევთ აპენინელებს: ვან ნისტელროი პასის მომენტში თამაშგარეშე იყო. ეს უდავოა. ერთადერთი, რაც მსაჯს ან ლაინსმენს ჩასაბღაუჭებელი ექნებოდათ, ისაა, რომ იტალიელთა მცველი კრისტიან პანუჩი მაგ დროს პირით ხაზს იქით იყო წაქცეული.

და მაინც, ეპიზოდის შეფასების სისწორე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილებაშიც გადავამოწმეთ. საერთოდ, იქ მიღებული წესია, რომ მსაჯის (გინდ მოქმედი, გინდ ყოფილი) მიერ მსგავს სიტუაციებზე კომენტარის გაკეთება, მით უმეტეს, გაკიცხვა-გათათხვა, არასწორია, თუმცა კატეგორიული განცხადება მათ არც გაუკეთებიათ...

ერთ-ერთმა ქართველმა ფიფას ასისტენტმა გვითხრა, უეჭველი თამაშგარე იყო და გოლი არ უნდა ჩათვლილიყო...

„იტალიელი მცველი ინერციით აღმოჩნდა მოედნის გარეთ, თორემ საკუთარი ინიციატივით რომ გასულიყო, მაშინ გოლიც ასპროცენტიანი იქნებოდა და თვითონაც ყვითელ ბარათს მიიღებდა“.

გასაგებია — პანუჩი ბუფონს შეეჯახა და მოედნის მიღმა აღმოჩნდა, მაგრამ რა გაარკვიოს მსაჯმა. იქნებ იტალიელმა ხერხი იხმარა და საკუთარი ინიციატივით გავიდა? ანუ, აქ მორალური მხარე იკვეთება: მსაჯიც ან ასე გადაწყვეტს, ან ისე...

სფფ-ის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილებაში გვითხრეს, ჩვენ სხვადასხვა ფედერაციის სამსაჯო კომიტეტებსაც დავუკავშირდით და, უმეტესობის აზრით, ეს ის მომენტია, როცა გადამწყვეტი სწორედ ისაა, პანუჩის მოედნის მიღმა ყოფნას როგორ აღიქვამს მსაჯი. ასე რომ, კატეგორიულად ვერ ვიტყვით, გოლი არასწორად ჩაითვალა, რაც უკვე უეფამაც თქვაო.

ჩვენს რესპონდენტებს ევრო-2008-ის სხვა მატჩების შეფასებაც ვთხოვეთ:

„შეცდომები იყო, თუმც არა ისეთი, შედეგზე რომ ემოქმედა. ავსტრია — ხორვატიის მატჩში ავსტრიელი პოგატეცი ოლიჩს რომ ეუხეშა, ამაზე, სულ მცირე, ყვითელ ბარათს იმსახურებდა, თუმცა მსაჯმა თვალი დახუჭა. საქმე ისაა, რომ პოგატეცს მანამდე ჰქონდა გაფრთხილება და რომ გაეძევებინა, ავსტრია მთლად გაიწირებოდა. ეტყობა, მსაჯმა ლიბერალობა გამოიჩინა, მაგრამ შეცდომა დაუშვა. რაც შეეხება შვეიცარია — ჩეხეთის მატჩში ჩეხი ფეხბურთელის ხელით თამაშს, სადაც პენალტი არ დაინიშნა, საეჭვო მომენტი იყო. ის ეპიზოდი მსაჯმა განზრახ ხელით თამაშად არ მიიჩნია...

...საერთოდ, უშეცდომო ჩემპიონატი არ არსებობს, მით უმეტეს, პირველი ტურია და როგორც ფეხბურთელები შედიან ნელ-ნელა ფორმაში, ასე არიან მსაჯებიც. იმედია, მათი შეცდომები თანდათანობით მოიკლებს“.

ვან ნისტელროის გოლი კი დარჩა და დარჩა საკამათოდ...

ილია ნანოგაშვილი

გიგიაძემ ტავრია დაიბრუნა და გაიფორმა

ვასილ გიგიაძემ სიმფეროპოლის „ტავრიასთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა — დაბრუნდა კლუბში, რომელშიც კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი ჩაატარა. ვასო სამი წლის წინ წავიდა „ტავრიადან“ კრივოი როგის „კრივბასში“, სადაც გოლუხვად თამაშობდა და გუნდის უდავო ლიდერიც გახლდათ.

გასული სეზონი კი გიგიაძეს მთლიანად ჩაუვარდა: ახტირკის „ნაფტოვიკში“ საერთოდ არ ათამაშებდნენ, რისი მიზეზიც მწვრთნელთან უთანხმოება იყო. „ნაფტოვიკმა“ არც ლუგანსკის „ზარიაში“ გაუშვა ჩვენიანი — როგორც თვითონ ვასომ გვითხრა, ჯიბრში ჩაუდგნენ.

ილია ნანოგაშვილი

ადამიასთვის ბრინჯაოს ბრინჯის ფასი აქვს

აზერბაიჯანული „ნეფთჩის“ ქართველმა ლეგიონერმა გიორგი ადამიამ იქაურ azerisport-ს ინტერვიუ მისცა, რასაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ...

— უკვე შეეგუეთ იმ ფაქტს, რომ ბოლო სეზონებში აზერბაიჯანის ჩემპიონობა ვერა და ვერ მოიგეთ?

— ასეთ რამესთან შეგუება რთულია. ყოველ სეზონში ჩემპიონობისთვის ვიბრძვით, მაგრამ სამწუხაროდ, ოქროს მედლების გარეშე ვრჩებით, რაც ადვილი გადასატანი ნამდვილად არ არის. ჩვენთვის, პირველის გარდა, ნებისმიერი სხვა ადგილი მიუღებელია.

— გამოდის, რომ ბრინჯაოს მედლები „ნეფთჩისთვის“ ბევრს არაფერს ნიშნავს?

— ბრინჯაო ნამდვილად ვერ დაგვაწყნარებს. ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში თამაში გვსურდა, მაგრამ ახლა ვეღარაფერს ვიზამთ. „ნეფთჩიმ“ საკმაოდ ბევრი დაუგეგმავი ქულა დაკარგა.

— რა პრობლემები აქვს გუნდს?

— პრობლემებზე ლაპარაკი არ მსურს. მთავარია, ახალი სეზონისთვის კარგად მოვემზადოთ. ჩვენ ხომ წინ ინტერტოტოს თასის გათამაშება და აზერბაიჯანის ჩემპიონატი გველის.

— ინტერტოტოს თასის პირველ მატჩში სლოვაკურ „ნიტრას“ ხვდებით. რას იტყვით?

— „ნეფთჩი“ მხოლოდ მოსაგებად ითამაშებს. ჩვენ საკუთარი პოტენციალი კარგად ვიცით და მეორე ეტაპზე გასვლას ვგეგმავთ. თუმცა, მეტოქის სათანადოდ შეუფასებლობა დაუშვებელია. გვსურს, ჩვენი გულშემატკივარი გავახაროთ.

— და ინტერტოტოდან უეფას თასზე გადასვლის პერსპექტივას როგორ აფასებთ?

— ასეთი ამოცანა არ დაგვისახავს, მაგრამ ცუდი არ იქნებოდა, მსგავსი შედეგისთვის რომ მიგვეღწია.

დალასში ფაჩულია ახსენეს

ნბა-ს სეზონი თითქმის დასრულებულია. მხოლოდ ორი გუნდი, ფინალურ სერიაში მებრძოლი „ბოსტონი“ და „ლიკერსი“ დარჩნენ საქმეში, სხვებმა კი უკვე მომავალი სეზონისთვის იწყეს სამზადისი. ახლა ტრანსფერებზე ზრუნვა გაჩაღდება, მანამდე კი ნიადაგს ჟურნალისტები ამზადებენ, რომლებიც ნაირგვარ გაცვლებსა და მათ მიზანშეწონილობაზე ლაპარაკობენ.

ჯერ ნაადრევია კონკრეტულ ტრანსფერებზე, უფრო კი მათ განხორციელებაზე საუბარი, თუმცა ვარაუდების გამოთქმას არაფერი უდგას წინ და ამერიკულ პრესაშიც უკვე დაიწყო მითქმა-მოთქმა. ჩვენ კი ეს ამბები იმიტომ გვაინტერესებს, რომ ერთ-ერთ სტატიაში ნბა-ს ერთადერთი ქართველის, ზაზა ფაჩულიას გვარმაც გაიჟღერა.

სტატია „დალას მორნინგ ნიუსში“ გამოქვეყნდა, რომელშიც „მაგერიკსის“ „ატლანტასთან“ შესაძლო გარიგებაზეა საუბარი. საქმე ის არის, რომ დალასელებს სახელფასო ფონდის შემსუბუქება სურთ და პრესის ვარაუდით, ყველაზე კარგი ვარიანტი გუნდიდან ჯოშ ჰოვარდის გაშვებაა. ანუ მისი გაცვლა ისეთ მოთამაშეებში, რომლებიც შედარებით ნაკლებანაზღაურებადნი არიან. ასეთებად კი დალასელები ატლანტელ მარვინ უილიამსსა და ზაზა ფაჩულიას მიიჩნევენ.

ჟურნალისტი ვარაუდობს, რომ ჯოშ ჰოვარდის ამ მოთამაშეებში გაცვლა სასარგებლო იქნება „დალასისთვის“, რადგან მარვინ უილიამსი საკმაოდ ახალგაზრდა და პერსპექტიული ფორვარდია, ზაზა ფაჩულია კი უკვე საკმაო გამოცდილების მქონე ცენტრი, რომელიც დალასელთა ახალბედა პაველ პოდკოლზინს ყველაფერში სჯობნის.

ამ ტრანსფერის განხორციელებას შესაძლოა, იმან შეუშალოს ხელი, რომ „ატლანტას“ მსროლელზე (ჯოშ ჰოვარდი სწორედ ამ პოზიციაზე თამაშობს) მეტად გამთამაშებელი ესაჭიროება. „ქორებს“ კი ჰყავთ ჯოშ სმიტი, რომელიც ჰოვარდს ბევრით არაფრით ჩამოუვარდება. მეორე ხელის შემშლელი მომენტი ისაა, რომ ატლანტელებისთვის მარვინ უილიამსი ძალიან ღირებული მოთამაშეა. თავის დროზე, მათ უილიამსი დრაფტის მე-2 ნომრად აირჩიეს, ანუ ამჯობინეს ახლა უკვე გავარსკვლავებულ კრის ჰოლსა და დერონ უილიამსს.

ისე კი, დალასელი სპეციალისტები არც იმას გამორიცხავენ, რომ გაცვლაში ჯოშ სმიტიც ჩაერთოს, რომელიც სატრანსფერო გარიგებაში მარვინ უილიამსის ადგილს დაიკავებს და ფაჩულიასთან ერთად გადავა დალასში ჯოშ ჰოვარდის სანაცვლოდ.

ენახოთ, ეს ჯერ მხოლოდ ვარაუდია.

ირაკლი პერტაია



სერია მერვე. 1984
სელტიქსი 4:3 ლეიკერსი

შტაბზილას მოგონებად ქცეული კოშმარი

60-იანი წლები და „ბოსტონის“ დინასტია ისტორიაში დარჩა. წვალებით ჩაირიხინეს უგემურმა 70-იანებმაც და დადგა ამერიკული კალათბურთის ოქროს ხანა, 80-იანები. ამ ათწლეულში დაასრულეს კარიერა დოქტორ ჯეიმ, აისმენმა, ჯაბარმა... დაიწყეს ჯორდანმა, სერ ჩარლზმა, ჰაკიმმა, სტოქტონ-მელოუნმა... მაგრამ სულ სხვანი იყვნენ მთავარნი, ვისი წყალობითაც ნბა გახდა ისეთი პოპულარული, როგორიც დღესაა. ვინ იცის, მაშინ უფრო პოპულარული და „გემრიელიც“ კი იყო.

ლარი ბერდი და მეჯიქ ჯონსონი! ვინც ამ დიადთა ჯახის თუნდაც ერთი სრული ტაიმი ნახა, ძნელად რომ დაივიწყოს. ერთ მხარეს დონინჯით იდგა თხელულვაშა ჯიუტი თეთრი სოფლელი, მეორე მხარეს კი ეშმაკური ღიმილით სახეგაბადრული ცმუკავდა დაბალშუბლიანი ზანგი. ბერდი 3 წლით უფროსი იყო, მაგრამ ორივემ ერთდროულად, 1979 წელს შეაღო ნბა-ს კარი — ბერდი „ბოსტონმა“ აიყვანა, ჯონსონს „ლეიკერსმა“ დასტაცა ხელი და დაიწყო უდიდესი სანახაობა, ნამდვილი სპექტაკლები, რომლის მსგავსიც არავის დაუდგამს ამერიკულ დარბაზებში.

„მე ვჭირდებოდი ლარის და ლარი მჭირდებოდა მე“ — იტყვის უფრო ენაწყლიანი ჯონსონი მომავალში. მათ ერთად, ერთმანეთთან დაპირისპირებაში აკეთეს უდიდესი საქმე, ჯერ გადაარჩინეს და მერე ააყვავეს ნბა.

გასაკვირია, მაგრამ ისინი მხოლოდ მეხუთე სეზონში შეიბნენ ფინალში. მანამდე კი თითქოს ერთმანეთის გარშემო ცეკვავენო, რეგულარულ ჩემპიონატში ორ-ორჯერ შეხვდებოდნენ ხოლმე ლოს ანჯელესსა და ბოსტონში და მაშინაც ტრიბუნებს ზანზარი გაჰქონდა. პლეი ოფში კი ხან ერთს უცდებოდა ფეხი და ხან მეორეს. „ლეიკერსმა“ 1980 და 82 წლებში მოიგო ფინალი, „ბოსტონმა“ კი 1981-ში იჩემპიონა, მაგრამ სამივე ჯერზე სულ სხვადასხვა გუნდებთან დაპირისპირებაში.

ხალხი კი „სელტიქს“ — „ლეიკერსის“ ახალ სერიას ელოდა.

და დადგა 1984 წელი. „ლეიკერსს“ პატ რაილი წვრთნიდა, ვის ხელში მეჯიქის გარდა იყვნენ ჯეიმს უორსი, ბაირონ სკოტი, ბობ მაკადუ, ჯამალ ვილქსი, კურტ რამბისი, მიჩ კუპჩაკი და რაღა თქმა უნდა, ბებერი წნელი ქარიმ აბდულ-ჯაბარი. ეს გუნდი კი ააშენა ლეგენდარულმა ჯერი ვესტმა. „ბოსტონს“ ერთ-ერთი 60-იანელი, კეისი ჯონსი თავკაცობდა, ვისაც დიადმა რედ აუერბახმა ლარის გარშემო შემოუკრიბა რობერტ პერიში, კევინ მაკჰეილი, დენის ჯონსონი, სედრიკ მაქსველი, დენი ეინჯი და ჯერალდ ჰენდერსონი.

იცით, როგორ იყო? ეს არ იყო უბრალოდ სახელების და ორი გუნდის დაპირისპირება და ესენი არ იყვნენ ფულის კეთებაში გაზულუქებული მილიონერი ვარსკვლავები. მაშინ ღრმა სათადარიგოებსაც კი ხასიათი ჰქონდათ. კომენტატორების — ჯონი მოსტისა და ჩიკ ჰერნის დუელიც არ დაგავიწყდეთ. და კიდევ ერთი შედარება: ჰოლივუდურ-არტისტული ლოს ანჯელესი აკადემიურ-კონსერვატორული ბოსტონის წინააღმდეგ! მოკლედ, ეს იყო სამყაროთა ომი, რომლის მსგავსიც მრავალთა აზრით არასდროს გაიმართება.

პირველი მატჩი (ბოსტონში)

„სელტიქსმა“ ფინალამდე ორი დღით მეტი დასვენა, ხოლო „ლეიკერსის“ 37 წლის ცენტრ ქარიმ აბდულ-ჯაბარს ქრონიკული თავისტკივილი სტანჯავდა და მთელი დღე ექიმებში და მასაჟისტებში გაატარა. ამის მიუხედავად ლოსანჯელესელთა ბებერმა კაპიტანმა 32 ქულა, 8 მოხსნა და 5 პასი გააკეთა და „ლეიკერსს“ სტუმრად 111:105 მოაგებინა.

მეორე მატჩი (ბოსტონში)

„ლეიკერსს“ გასვლაზე მეორედ მოგების კარგი შანსი ჰქონდა. ჯეიმს უორსიმ მეჯიქის ჯადო-პასების წყალობით თამაშში 12 სროლიდან 11 ჩააგდო და 29 ქულა გააკეთა. სტუმრები ორი ქულით იგებდნენ, როცა მასპინძელ კევინ მაკჰეილზე საფინალო სირენამდე 18 წამით ადრე დაჯარიმდნენ. თუ მაკჰეილი ორივეს ჩააგდებდა და გათანაბრებდა, სტუმრებს წუთშესვენება უნდა აეღოთ, მაგრამ ნერვებათამაშებულმა ბოსტონელმა ორივე ააცილა, არანაკლებ ნერვებდაჭიმულმა სტუმრებმა კი მექანიკურად აიღეს ტაიმაუტი და ამით „ბოსტონს“ გონზე მოსვლის საშუალება მისცეს. „ლეიკერსის“ ნახევარზე „კელტებმა“ პრესინგი გააჩაღეს. უორსის პასი ჰენდერსონმა ჩაჭრა, ჩააგდო, 113:113 გაათანაბრა და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა. დამატებითი დროის ბოლოს ჰენდერსონისვე პასით „ბოსტონი“ 124:121 დაწინაურდა და ასევე მოიგო თამაში, რითაც სერიაში ანგარიში გაათანაბრა. „ორი დღე კოშმარივით მესიზმრებოდა, როგორ მიფრინავს უორსის პასი სკოტისკენ, როგორ ტრიალებს ბურთი ჰაერში, და შემდეგ როგორ იჭერს მას სულ სხვა“ — ამბობდა პატ რაილი.

მესამე მატჩი (ლოს ანჯელესში)

„ლეიკერსმა“ უმალვე აღიდგინა ფავორიტის რეპუტაცია, როცა შინ დაბრუნებულმა 137:104 წალეკა „სელტიქსი“. მეჯიქმა 21 პასი გააკეთა, რაც დღემდე რჩება ფინალების რეკორდად. „მე ვიცი, რა გული აქვს ჩემს გუნდს, მაგრამ დღეს ის უგულოდ თამაშობდა — კოპეშეკრული ამბობდა ლარი ბერდი — არც კი მჯერა, როგორ მივეცით მათ ამდენის უფლება. ამაზე ფიქრიც კი ცუდად მხდის.“

მეოთხე მატჩი (ლოს ანჯელესში)

60-იანი წლების შემდეგ როლები შეიცვალა. ახლა „სელტიქსი“ მისდევდა „ლეიკერსს“, თანაც ისე თავგანწირვით, რომ რაილი ბოსტონელებს თავზეხელაღებულთა ბანდას ეძახდა. ბერდი მართალი გამოდგა, ბოსტონელებმა ადარ მისცეს მეტოქეს ნავარდის უფლება. მეჯიქის პასებით დასერილ ბოსტონურ დაცვაში მოთარეშე ლოსანჯელესელები კევინ მაკჰეილმა სამაგალითოდ „ალაგმა“, როდესაც სათვალიან კურტ რამბისს უმოწყალოდ ჩაარტყა და ამის გამო გაწევ-გამოწევაც კი ატყდა. წუთიც არ რჩებოდა ძირითადი დროის ამოწურვამდე, „ლეიკერსი“ 5 ქულით იგებდა, როცა პერიშმა მეჯიქს ჩაუჭრა და ბოსტონელებმა რაღაც სასწაულით უკვე მერვე თამაშში გადაიყვანეს დამატებით დროში. იქ ერთ-ერთი ლეიკერსელი საჯარიმოებს რომ ესროდა, „სელტიქსის“ სკამიდან ვიღაცამ დაახლოებით ასეთი რამ უღრიალა — „გამაზე!“ და მსროლელმაც „გამაზა“, „ბოსტონმა“ კი 129:125 მოიგო და მეორედ გაათანაბრა ანგარიში.

მეხუთე მატჩი (ბოსტონში)

სედრიკ მაქსველმა გაიხსენა — „სანამ მაკჰეილი რამბისს ჩაარტყავდა, ისინი ქარივით თავისუფლად დაწუოდნენ, მერე კი ჭკუა რომ ვასწავლეთ, თითქოს დადგნენო, გაიზედავდნენ მარცხნივ, მერე მარჯვნივ და მერეღა იწყებდნენ ბურთის ტარებას.“ მეოთხე თამაში ამიტომ გამოდგა გადამწყვეტი. მეხუთეში გუნდებმა ისევ ბოსტონში გადაინაცვლეს და აქ შეუდარებელი იყო ბერდი. „სელტიქსის“ ლიდერმა თამაშში 20 სროლიდან 15 ჩაგდო, 34 ქულა გააკეთა, „სელტიქსმა“ კი 18 ქულით მოიგო და პირველად დაწინაურდა სერიაში. ლოსანჯელესელებს, განსაკუთრებით კი აბდულ-ჯაბარს, სული ეხუთებოდათ „ბოსტონ გარდენში“. ქარიმი ამბობდა, დარბაზი კი არა საუნაო — „აქ თავი ცუდ სიზმარში მგონია, ფეხები ტალახში მეფლობა და ვერ გავრბივარ.“

მეექვსე მატჩი (ლოს ანჯელესში)

მაკჰეილს უხეშობის სამაგიერო გადაუხადა უორსიმ, ვინაც მაქსველს სასტიკად ჩასცხო და თავისიანებს ასე დაუბრუნა სითამამე. ჯაბარი საუკეთესო იყო. კარგად კონდიციირებულ ლოსანჯელესურ დარბაზში მოხუცს ჰაერის უკმარისობა ადარ აწუხებდა და 30 ქულითაც შეეშველა. 119:108 გამარჯვებულ „ლეიკერსს“. სერიაში მესამედ გათანაბრდა ანგარიში.

მეშვიდე მატჩი (ბოსტონში)

ბოსტონში გადამწყვეტი ჯახისთვის ჩასულ „ლეიკერსს“ პრობლემები აეროპორტშივე დაეწყო. სტუმრებს სასტუმროდან დარბაზამდე პოლიციის ესკორტი მიაცილებდა და ფანების აგრესიისაგან იცავდა. მაგრამ დარბაზში მისულ ლოსანჯელესელებს მთლად საგიჟეთი დახვდათ, თანაც „სელტიქსიც“ შეუდარებლად თამაშობდა. სტუმრები მხოლოდ ჯარიმებით აჩერებდნენ მაქსველს, მაგრამ მან მარტო პირველ ტაიმში 12 საჯარიმოდან 11 ჩააგდო და სულ 24 ქულა, 8 მოხსნა და 8 პასი გააკეთა. სხვებიც კარგები იყვნენ — ბერდი (20 ქულა, 12 მოხსნა), დენის ჯონსონი (22 ქულა, 7 პასი), პერიში (14 ქულა, 16 მოხსნა). მაგრამ „ლეიკერსმა“ ჯოჯოხეთური ბრძოლა გაუმართა მასპინძლებს და მეჯიქ ჯონსონის მეთაურობით 14 ქულიანი დეფიციტი სამამდე შეამცირა, დასრულებამდე წუთზე ოდნავ მეტი რომ რჩებოდა. მაინც „სელტიქსმა“ მოიგო 111:102 და უკვე ზედიზედ მერვედ აართვა ტიტული „ლეიკერსს“. ფინალური სერიის უძვირფასეს მოთამაშედ ლარი ბერდი დასახელდა, რომელიც 7 მატჩში საშუალოდ 27,4 ქულას, 14 მოხსნას, 3,2 პასს და 2 ჩაჭრას იხვეჭდა. „ჩვენ არაფერი დაგვიზოგავს — ამბობდა ბერდი ნაფინალევს — ვინმეს წამოსცდება, რომ გამარჯვება არ დავიმსახურეთ?“

ირაკლი ფირაზმილი



კავკასიური ველოწრე

გუშინ თბილისში დაიწყო და 13 ივნისამდე გაგრძელდება საერთაშორისო მრავალდღიანი ველოსრბოლა სახელწოდებით „კავკასიის ტური", რომელშიც საქართველოს ორი ნაკრების, ასევე ქუთაისის და აჭარის გუნდების გარდა თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ველოსიპედისტებიც მონაწილეობენ.

საქართველოში ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ასეთი რანგის შეჯიბრება პირველად ტარდება. სულ სამი წელია, რაც საქართველოს ნაკრები საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობს, არადა, წარსულში ჩვენს ველომრბოლელებს გამარჯვებები ნამდვილად არ აკლდათ. ამჟამად სპონსორების მეშვეობით გახდა შესაძლებელი „კავკასიის ტურის" მოწყობა.

რბოლაში ქართველი მხარე საქართველოს ორმა ნაკრებმა და ქუთაისის გუნდმა წარადგინეს. საქართველოს პირველი ნაკრები გიორგი ნადირაძემ, არჩილ მახარაშვილმა, კახაბერ ლოსეურაშვილმა, ნოდარ ყვავაძემ, ვიტალი ერიობინმა და ამირან სვანიძემ შეადგინეს. მეორე ნაკრების შემადგენლობაში სანდრო ხუციშვილი, არჩილ დოლიძე, ნოდარ კაცაძე, ხუბა არანული, ლაშა ოშხერელი და ალექსანდრე გულარიძე გამოვიდნენ. ქუთაისელთა გუნდის რიგებში კი გიორგი გეგეშიძე, ლევან სილაგაძე, ლევნ გოდერიძე და გიორგი ლომაძე არიან.

ტურის პირველი ეტაპი თბილისი-მცხეთა-ფასანაურის მაგისტრალზე ჩატარდა. ეტაპის გამარჯვებული თურქი ექიბ კარაკობეკი გახდა — 3.18,32. მეორე ადგილზეც თურქი ნაზიმ ბალციფცი გავიდა — 3.18,58, მესამე ადგილს კი საქართველოს პირველი ნაკრების წარმომადგენელი გიორგი ნადირაძე დაეუფლა — 3.19,05.

პირველი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში თურქეთი ლიდერობს, მეორეზე საქართველოა, მესამეზე — აზერბაიჯანი.

11 ივნისს მეორე ეტაპი თბილისი-წითელი ხიდი-სოფ. გამარჯვების გზაზე გაიმართება. 12 ივნისს მესამე ეტაპზე მცხეთა წრიულ რბოლას უმასპინძლებს და ბოლოს გამარჯვებულები 13 ივნისს მეოთხე ეტაპზე მუხიანის დასახლებაში, რბოლა კრიტერიუმში გაირკვევა.

ზურაბ მიგრიაული

ლაზარე და უკრაინელები

უკრაინულ ჩერკასკში, სადაც ITF-ის ეგიდით კაცთა 10-ათასიანი ტურნირი ტარდება, საკვალიფიკაციო ეტაპზე მოთამაშე სამი ქართველიდან ძირითად ბადეს მხოლოდ ერთმა, ლაზარე კუხალიშვილმა უწია.

საკვალიფიკაციო შეჯიბრის მეორე წრეში დამარცხებული სერგო სიხარულიძის ბედი მესამეში გიორგი ხრიკაძემაც გაიზიარა, ვისაც 6:4 6:0 მოუგო რეიტინგის 1447-ე საფეხურზე მყოფმა რუსმა ანდრეი ლევინმა.

რაც შეეხება კუხალიშვილს, მან მესამე წრეში 6:2 6:3 სძლია კვალიფიკანტთა შორის მე-2 ნომრად განთესილ უკრაინელს, კლასიფიკაციის 1231-ე პოზიციაზე მყოფ დიმიტრი კარინინს და ძირითად ბადეში შევიდა, სადაც პირველივე წრეში ტურნირის პირველ ნომერს, ასევე უკრაინელ არტიომ სმირნოვს შეხვდება, ვისაც ATP-ის რეიტინგში 411-ე საფეხური უკავია.

ჩერკასკული შეჯიბრის ძირითად ბადეში იყო, მაგრამ პირველივე წრეში დამარცხდა ნოდარ ითონიშვილი, ვისაც კიდევ ერთმა მასპინძელმა, კლასიფიკაციის 671-ე ადგილზე მყოფმა და მე-6 ნომრად განთესილმა ალექსანდრ იარმოლამ სამ სეტში, 4:6 7:5 6:2 აჯობა.

გაირკვა ანა ტატიშვილის პირველი მეტოქის ვინაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ტეხასური ელ პასოს ჰარდზე მიმდინარე 25-ათასიან ტურნირზე. ანა ელ პასოში მე-2 ნომრადაა განთესილი და საწყის შეხვედრას კორტის მასპინძელთან, რეიტინგის 518-ე ნომერ ალექსის პრუსისთან ჩაატარებს.

თურქეთში, სტამბოლის მაგარსაფარზე კი 10-ათასიანი შეჯიბრია, რომლის ძირითად ბადეში, ერთბაშად ხუთი ქართველი ითამაშებს — ოქსანა კალაშნიკოვა, სოფო ქვაცაბაია, მანანა შაფაქიძე, ეკა გორგოძე და ანა ჯაიქია. ამათგან გორგოძემ, ვინც ტურნირი კვალიფიკაციიდან დაიწყო, უკვე ჩაატარა პირველი შეხვედრა და მასავით კვალიფიკაციაგამოვლილ რუს ეკატერინა კისელიოვას 6:3 6:2 სძლია.

მეორე წრეში ეკა ანა ჯიქიასა და თურქეთის საუკეთესო ჩოგბურთელს, ტურნირზე მეორე ნომრად განთესილ კაგლა ბეიუკაჯჩაის შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება.

ანა ტატიშვილი

ქართველების გერმანული ნასტომი


შოთა კორახაშვილი

გერმანიის ქალაქ როსტოკში წყალში ხტომაში მსოფლიოს გრან პრის მე-6 ეტაპი გაიმართა. ტურნირი სამი მეტრიდან ინდივიდუალურ და სინქრონულ ხტომაში ჩატარდა. შეჯიბრებაში საქართველოდან ორი სპორტსმენი მონაწილეობდა — ჭოლა ჭანტურია და შოთა კორახაშვილი. პირველმა ხელის ტრავმის გამო სინქრონული ხტომა გამოტოვა, არადა, ამ სახეობაში ჩვენებს მეექვსე-მეშვიდე ადგილის დაკავება შეეძლოთ, რითაც ჰოლანდიელ, კანადელ, ვენესუელელ მხტომელებს გადაასწრებდნენ და საერთო ჩათვლაში საქართველოს ნაკრების სარეიტინგო ქულებს მონაგარს შემატებდნენ. რაც შეეხება ინდივიდუალურ ხტომას, მასში ჭანტურიამ 331 ქულა მოაგროვა.

შოთა კორახაშვილმა კი ინდივიდუალურ ხტომაში 347 ქულა აიღო, რაც მისი ასაკის სპორტსმენისთვის ნამდვილად კარგი შედეგია. აღსანიშნავია, რომ კორახაშვილი 23 ივნისს ევროპის ჩემპიონატზე გამოვა და, გერმანული შედეგის გამეორების შემთხვევაში, სავარაუდოდ, ხუთეულში უნდა მოხვდეს.

ევროპის ჩემპიონატზე კორახაშვილის გარდა, სალომე ჯუღელი (ერთი მეტრიდან ხტომა) და ბორის მამისარაშვილი (სამი მეტრიდან ხტომა) გაემგზავრებიან. ევროპის ჩემპიონატი მინსკში 23 ივნისს დაიწყება და 29 ივნისამდე გასტანს.

ზურაბ მიგრიაული

AMERITECH-ის აქცია
ევრო 2008 JVC-თან ერთად!

JVC
The Perfect Experience

UEFA EURO2008
Austria-Switzerland

ტექნიკა საბლოისთვის
სიამოვნება მენთვის!



ამერიტექი AMERITECH

აქცია 1 ივნისიდან 1 ივლისამდე

შეიძინე ტექნიკა Ameritech–ის მაღაზიათა ქსელში, დააგროვე გოლები და გახდი უპრეცედენტო აქციის „ევრო 2008 JVC–თან ერთად" მონაწილე!

აქცია I — ყველა ვინც შეიძენს ტექნიკას Ameritech–ის მაღაზიათა ქსელში მიიღებს მომენტალურ საჩუქარს – ექსკლუზიურ მაისურს ევრო 2008–ის და JVC-ის სიმბოლიკით.

აქცია II — დააგროვე 1500 გოლი – ამოირჩიე და მიიღე მაღაზიაში შემოთავაზებული 10–ზე მეტი დასახელების საჩუქრიდან ერთ–ერთი.

აქცია III — დააგროვე 2500 გოლი – მიიღე 2 კაციანი აბონიმენტი ელიტარულ სპორტ კაფეში ევრო 2008–ის ნახევარფინალური 2 მატჩისა და ფინალური მატჩის საყურებლად დიდ ეკრანზე.

აბონიმენტში შედის მენიუ. აბონიმენტი გაიცემა 1-დან 23 ივნისამდე!!!

1 ლარი = 1 ქულა

ამერიტექის მაღაზიათა ქსელი:
აღმაშენებლის ხეივანი 1/1, ტელ.: 51 73 88;
ვაჟა–ფშაველას გამზ. 39, ტელ.: 391095;
თამარ მეფის გამზ. 5, ტელ.: 943054;
სერვის ცენტრი: ბოხვიჩიას 13/15, ტელ.: 31 32 52

მეორედ და საბოლოოდ

დომინიკ ჰაშეკმა კარი დახურა

გუშინ დომინიკ ჰაშეკმა კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა.

„დომინატორად" წოდებული ჩეხი ისე წავიდა, როგორც ყოველთვის სურდა — ჰოკეის უმაღლეს მწვერვალზე მყოფი და ჩემპიონის სახელით. წავიდა მას შემდეგ, რაც კიდევ ერთხელ ზეაღმართა სანუკვარი სტენლის თასი.

ჰაშეკმა 2002 წელსაც, „დეტროიტთან" ერთად თავისი პირველი სტენლის თასის მოგების შემდეგაც თქვა, მივდივარო, მაგრამ ჰოკეის გარეშე დიდხანს ვერ გაძლო და ლოკაუტის შემდეგ ისევ დაბრუნდა — ამჯერად „ოტავაში". თუმც ჰაშეკს ტრავმებმა შეუშალა ხელი, რის შემდეგაც უკვე ასაკიან, 40 წლის მეკარეზე მთელმა ნჰლ-მა ხელი ჩაიქნია. მხოლოდ იმავე „დეტროიტმა" დაიჯერა, რომ „დომინატორს" არ დაეკარგა თავისი მაგიური თამაში, რომელმაც ჰაშეკი თავის თაობისა და მთლიანად ჰოკეის ერთ-ერთ უდიდეს მეკარედ აქცია.

ჩეხი ორი წლის წინ დაბრუნდა „ძრავების ქალაქში" და ჯერ დასავლეთ კონფერენციის ფინალში გაიყვანა „წითელფრთიანები", წლეულს კი სტენლის თასის დაბრუნებაში დაეხმარა. ჰოდა, უკვე 43 წლის ჰაშეკმაც გადაწყვიტა, რომ წასვლის დროც მოსულა, ოღონდ ამჯერად საბოლოოდ წასვლის — მით უმეტეს, რომ „დეტროიტი" მომავალ წელს სასტარტო მეკარეობის გარანტიას ვერ აძლევდა. ჰაშეკი კი ის ადამიანი არაა, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა დიდხანს აიტანოს.

„რამდენიმე დღის წინ თასს რომ ვკოცნიდი, საბოლოოდ მაშინ მივიღე წასვლის გადაწყვეტილება. ფიზიკურად მზად ვარ, მაგრამ თამაშის არც ძველებური სურვილი მაქვს და აღარც მოტივაცია — ამის გარეშე კი ყინულზე ვეღარ გავალ. ამიტომაც მივდივარ" — განცხადა გუშინ ჰაშეკმა, რომლის პრესკონფერენციასაც პატივისცემის ნიშნად „დეტროიტის" მთელი ხელმძღვანელობა და გუნდის მოთამაშეთა დიდი ნაწილი დაესწრო.

ჰაშეკს დიდების დარბაზში ადგილი გარანტირებული აქვს — ტყუილად კი არ უწოდებენ ყველა დროის უდიდეს ევროპელ მეკარეს, რომელსაც ნჰლ-ში უთამაშია. ჩეხი ყოველთვის ემახსოვრებათ განსაკუთრებული, არაორდინალური თამაშის სტილით, როცა საოცარი კულბიტებითა და არაადამიანური მოძრაობებით ახერხებდა თითქმის აუღებელი დარტყმების მოგერიებას. კარის მშრალად შესანახად „დომინატორი" არაფერს ერიდებოდა — იგი პირველი იყო, რომელიც არ შეუშინდა და შაიბას თავი შეუშვირა, ოღონდ კი გოლი არ გაეშვა. ჩეხს იმდენად არ უყვარდა კარიდან შაიბის გამოტანა, რომ როგორც თანაგუნდელები ერთხმად ყვებიან, დომინიკს ვარჯიშებზეც კი არ ეთმობოდა რომელიმე დარტყმულის გაშვება.

„დომინატორმა" უამრავი ნოვაცია შეიტანა სამეკარეო ხელოვნებაში და დღევანდელ ნჰლ-ში აშკარად იგრძნობა მისი ზეგავლენა, რადგანაც უკვე ლეგენდარულ ჩეხს ძალიან ბევრი ახალგაზრდა კიპერი ბაძავს. ამას კი ჰაშეკმა უმძიმესი შრომის ხარჯზე მიაღწია — დღესაც ლეგენდებად დადის და ბევრისთვის სამაგალითოდაც რჩება ჩეხის თავდადება ვარჯიშებზე, როცა ის ყველაზე ადრე ცხადდებოდა სატრენაჟორო დარბაზში და ყველაზე ბოლოს ტოვებდა ხოლმე ყინულს.

ჩეხმა მთლიანობაში 16 სეზონი გაატარა ნჰლ-ში და 4 გუნდში ითამაშა — „ჩიკაგო", „ბუფალო", „დეტროიტი" და „ოტავა". მისი კარიერის ოქროს ხანა „ბუფალოში" თამაშზე მოდის, რადგანაც მას სწორედ აქ შეარქვეს „დომინატორი". სწორედ „ხმლების" რიგებში თამაშისას მოიგო ჰაშეკმა ექვსი „ვეზინა ტროფი" (საუკეთესო მეკარის ტიტული) და ამ მაჩვენებლით მხოლოდ დიდ ჟაკ პლანტს ჩამორჩება, რომელსაც მხოლოდ ერთით მეტი ასეთი ჯილდო აქვს. გარდა ამისა, ჰაშეკი პირველი და უკანასკნელი მეკარეა, რომელსაც ორჯერ გადასცეს „ჰარტ ტროფი", როგორც რეგულარული ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშეს 1997-98 წლებში.

„დომინატორის" ვარსკვლავური საათი კი მაინც 1998 წლის ნაგანოს ოლიმპიური თამაშები იყო, რომელსაც ჰაშეკმა თითქმის მარტოდმარტომ მოაგებინა ჩეხებს თავიანთი ერთადერთი ოლიმპიური ოქრო და თან გზად ჰოკეის სამი უდიდესი მონსტრის, აშშ-ს, კანადისა და რუსეთის სუპერვარსკვლავებს მხოლოდ ერთი შაიბა გაატანინა.

კარიერაში მოგებული 389 თამაშით ჰაშეკი მეათეა ნჰლ-ის ყველა დროის კიპერთა შორის, 81 შატაუტით კი — მეექვსე. 2002 წლის სათასო რბოლის დროს „დომინატორმა" 6-ჯერ მშრალად შეინახა კარი, რაც არც მანამდე და არც მას შემდეგ არავის გაუკეთებია.

„დომინატორის" მიღწევების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს და აჯობებს, აქ გავჩერდეთ — მთავარი ისაა, რომ ჰოკეი კიდევ ერთმა ლეგენდამ დატოვა. ნჰლ-ს კიდევ ერთი ვირტუოზი გამოეთხოვა.

ძახა ლომაშვილი

თიხის გოლიათი რკინის ფეხებით

რაფაელ ნადალი საჩოგბურთო რეკორდების გადაწერას აგრძელებს. ჯერჯერობით ეს მხოლოდ საგრუნტო კორტებზე მიღწევებს ეხება, მაგრამ ესპანელის პროგრესის ტემპებს თუ გავითვალისწინებთ, დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ მალე რაფა სხვა საფარზეც შეძლებს თავისი სიტყვის თქმას.

თუმც ამჯერად პირინეელის მიერ თიხნარზე, კერძოდ კი, „როლან გაროსზე" ჩადენილ სასწაულებზე უნდა ვისაუბროთ.

კარგა ხანია, ნადალს „გრუნტის მეფედ" მოიხსენიებენ, რასაც ესპანელი უკვე ოთხი სეზონის განმავლობაში წლიდან წლამდე ამტკიცებს — ხოლო 81-მატჩიანი წაუგებელი სერიის გამოცხობის შემდეგ (ერთ საფარზე გამარჯვებების ყველაზე ხანგრძლივი სერია ჩოგბურთის ისტორიაში) კი რაფამ ეს ტიტული ალბათ სამუდამოდ დაისაკუთრა. მაგრამ პარიზში ახლახან დამთავრებულ სლემტურნირზე ნადალმა ყველას დაანახვა, რომ საჩოგბურთო სამყაროში არავინ მოიძებნება ისეთი, რომელიც მას თიხაზე არათუ დაჯაბნის, არამედ სერიოზულად გამოიწვევს მაინც.

თუ აქამდე ნადალი ყველას ერთი თავით აღემატებოდა, კვირას გამოჩნდა, რომ დღეისთვის ესპანელ ჯადოქარსა და დანარჩენებს შორის ნამდვილი უფსკრული ძევს — მალიორკელი ისეთ სიმაღლეზე ჩოგნაობს, რომელზეც სხვებს თვალის მიწვდენაც კი უჭირთ.

ნადალი ტურნირის დაწყებამდეც უმთავრეს ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ გასული ორი კვირა ესპანელმა მაინც რაღაც განსაკუთრებული ბრწყინვალებითა და დაუმარცხებლობის აურით გარემოცულმა გჭიარა — მალიორკელი მხოლოდ მესამე მეჩოგნე გახდა, პარიზში სეტწაუგებლად რომ იმარჯვა (აქამდე იგივე ილიე ნასტასემა და ბიორნ ბორგმა გააკეთეს). მეტიც, ესპანელმა ჩატარებულ 7 შეხვედრაში გონების დამბინდავი, მხოლოდ 41 გეიმი წააგო და ტომაზ ბელუჩისთან ცოტა ბორძიკით დაწყებული პირველ წრის მატჩი რომ არა, სადაც ბრაზილიელს საწყის სეტში 5 გეიმი „აჩუქა", რაფა ეგებ ბორგის 1980 წლის მიღწევასაც შეწვდენოდა, როცა დიადმა შვედმა მხოლოდ 38 გეიმი დათმო.

ეს ჯერ, მაგრამ ბორგის ერთი დიდი მიღწევა რაფამ კი გაიმეორა — ლეგენდარული შვედის შემდეგ მეორე ჩოგბურთელად იქცა, ვინაც პარიზში ზედიზედ ოთხჯერ შეძლო ტრიუმფის გადახდა. თანაც ესპანელმა ეს თავად ბორგის თვალწინ გააკეთა.

ჩვენში დარჩეს და ეტყობა, ბორგს არ ეთმობოდა თავისი რეკორდი. შვედს ერთი დიდი მიღწევის ერთპიროვნული ავტორობა შარშან როჯერ ფედერერმა აართვა, როცა უიმბლდონზე ზედიზედ მეხუთედ იჩემპიონა. ჰოდა ჩანს, ბორგს არ სურდა, რომ მეორე დიდ რეკორდშიც ჰყოლოდა თანაზიარი — ეს ხმამაღლა არც ერთხელ არ დაუფიქსირებია, მაგრამ ფინალის წინ მის მიერ გამოთქმული პროგნოზები, ფედერერი ფავორიტი იქნებაო, ხავსჩაჭიდებული კაცის განცხადებებს წააგავდა. მაგრამ ამას შვედისთვის ხელი არ შეუშლია, ნადალისთვის გამარჯვება მიელოცა და აკი ფინალის შემდეგ აღიარა კიდეც — რაფა აუცილებლად გაუმჯობესებს ჩემს შედეგს და „როლან გაროსს" უფრო მეტჯერ მოიგებსო.

თავად ნადალს კი სიამოვნებს ბორგთან შედარება, მაგრამ აცხადებს, შვედი ჩემზე მეტად დომინანტი იყო:

„ამაზე საუბარი არც კი ღირს — ბორგი ჩემზე გაცილებით ძლიერი იყო და ამიტომ მისი მიღწევების გამეორება ჩემთვის უდიდესი პატივია. საერთოდ საამაყოა, რომ ასეთი ჩოგბურთელის გვერდით მიხსენიებენ".

რაფა ჩვეულად თავმდაბალია, მაგრამ მისი წლევანდელი გამოსვლა პარიზში ნამდვილად შეედრება შვედისა და სხვა ლეგენდების თამაშს. განსაკუთრებით ეს მაინც ფინალს ეხება, სადაც ესპანელმა ნაკუწ-ნაკუწ აქნა როჯერ ფედერერი და მხოლოდ ოთხი გეიმი ააღებინა, 6:1 6:3 6:0. გარდა იმისა, რომ შვეიცარიელს სლემტურნირებზე ასე სასტიკად არასდროს წაუგია, ძნელია იმის გახსნებაც, რომ „როლან გაროსზე" როდისმე აგრერიგად გაემწარებინოთ მსოფლიოს პირველი ჩოგანი. ალპელის განადგურება მხოლოდ 1977 წლის ფინალს თუ შეედრება, როცა გილერმო ვილასმა ბრაინ გოტფრიდს სამი გეიმი დაუთმო, 6:0 6:3 6:0.

თავად ნადალმა ასეთი გამარჯვება მეტოქის შეცდომებს უფრო გადააბარალა:

„როჯერი ჩვეულებრივზე მეტად ცდებოდა. ის თითქოს თავიდანვე ძალიან არაკომფორტულად გრძნობდა თავს. სხვანაირად წარმოუდგენელია ასეთი ანგარიშის ახსნა, რადგანაც, რამდენად უშეცდომოდ და ფანტასტიურადაც არ უნდა მეთამაშა, ასე ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მოვიგებდი".

ისე, მაინც რითი შეიძლება ნადალის წლევანდელი გამოსვლის ახსნა?

ძირითადად იმით, რომ ესპანელი, როგორც ყველა დიდი სპორტსმენი, ერთ ადგილას არ დგას — ის მუდმივად პროგრესირებს და თამაშის დახვეწას ცდილობს. თანაც რაფა სულ უფრო შორდება ტრადიციულ ესპანურ საჩოგბურთო სტილს და გაცილებით აგრესიულ, შემტევ ჩოგნაობაზე აკეთებს აქცენტს. ამის მაგალითები გასულ ორ კვირაში უხვად ვიხილეთ, როცა ნადალი მუდმივად უკანა ხაზზე დგომის მაგივრად არ ერიდებოდა კორტის სიღრმიდან სწრაფი შეტევების დაწყებას.

„დიახ, გაცილებით აგრესიულად ვთამაშობ. პროგრესი მუდმივად საჭიროა, რადგანაც მეტოქეებს ჩემი თამაში უკვე საკმარისად კარგად ჰქონდათ გაშიფრული და მეც ვეცადე, წლეულს მათთვის გარკვეული სიურპრიზი შემეთავაზებინა. სიმართლე გითხრათ, ამან იმაზე უფრო მეტად გაამართლა, ვიდრე ველოდი" — განაცხადა ნადალმა ფინალის შემდეგ.

ფედერერის განადგურების შემდეგ ესპანელს კითხეს, ხომ არ მიგაჩნიათ, რომ რეიტინგში პირველ ადგილს თქვენ უფრო იმსახურებთო, რაზეც ნადალმა სასტიკი პროტესტი განაცხადა:

„კარგით რა, რატომ გიჩნდებათ ასეთი სულელური კითხვები? პირველ ადგილს მარტო იმიტომ ვიმსახურებ, რომ ერთ საფარზე ვთამაშობ კარგად? აშკარად გავიწყდებათ როჯერის მიღწევები. მის დონემდე კიდევ ბევრი მიკლია. მგონი, ნოვაკ ჯოკოვიჩი უფრო ახლოს არის ჩემთან, ვიდრე მე პირველ ადგილთან".

როგორც ყოველთვის, ესპანელი ახლაც მორცხვობს და ჯერ არ ამბობს, რომ ფედერერის დაწევა შეუძლია. მაგრამ ერთი კი ნაღდია — ნადალი გრუნტის უპირობო მეფეა და მის ტახტს ახლო მომავალში ვერც ვერავინ შეარყევს.

ძახა ლომაშვილი

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

პირველი კუბიცა ბოლოზე ალაპარაკდა

კვირას მონრეალში, ჟილ ვილნევის სახელობის ავტოდრომზე გამართული კანადის დიდი პრიზი, რომელიც უაღრესად დრამატულად წარიმართა და „BMW-ზაუბერის“ პოლონელი პილოტის რობერტ კუბიცას გამარჯვებით დასრულდა, კვლავაც საპირველფორმულო სამყაროს ყურადღებისა და განსჯის საგანია.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაც მონრეალში მოხდა, ყველაფერი პირველად იყო — კუბიცამ პირველი დიდი პრიზი მოიპოვა, რომელიც, ამავდროულად, „BMW-ზაუბერისთვისაც“ პირველი იყო და ისიც პირველადაა, რომ გერმანული სუპერკონცერნის საპირველფორმულო გუნდის წევრი გენერალური კლასიფიკაციის თავში მოექცა.

„ეს ფანტასტიკაა, მოიპოვო პირველი გამარჯვება შენი გუნდისთვის. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, მათ, ვინც შექმნა მანქანა, რომელმაც დუბლის შესრულება შეძლო (მეორე ადგილზე კუბიცას გერმანელი თანაგუნდელი ნიკ ჰაიდფელდი გავიდა) — განაცხადა გახარებულმა კუბიცამ — უაღრესად მნიშვნელოვანი გამარჯვებაა პირადად ჩემთვის, გუნდისთვის, ჩემი ქვეყნისთვის, ჩვენი ქომაგებისთვის. ეს მართლაც წარმოუდგენელი რამ არის — პირველი გამარჯვება კანადაში მოვიპოვე, სწორედ იქ, სადაც ერთი წლის წინ საშინელი ავარია შემემთხვა“.

უნიჭიერესი პოლონელი მრბოლი საკმაოდ ობიექტურად აფასებს სიტუაციას. მან იცის, რომ „BMW-ზაუბერი“ ჯერაც ჩამორჩება „ფერარისა“ და „მაკლარენს“, მაგრამ ეს ფაქტი მის ოპტიმიზმს არ ანელებს. „რა თქმა უნდა, ჩვენი უმთავრესი კონკურენტები უფრო სწრაფები არიან და კურიოზული ავარია რომ არ მოსვლოდა, მე გამიჭირდებოდა, ავყოლოდი ლუის ჰემილტონის ტემპს. თუმცა, მთავარი სხვა რამ არის — ჩვენ შევასრულეთ სეზონისთვის დასახული პროგრამა-მინიმუმი და მოვიგეთ ერთი ეტაპი. თანაც, ეს გამარჯვება სადღაც სეზონის ბოლოს კი არა, მე-7 ეტაპზე მოვიპოვეთ და მე მჯერა, გუნდი ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, ლიდერობა ბოლომდე რომ შევინარჩუნოთ“ — განაცხადა კუბიცამ ფინალური რბოლის შემდგომ პრესკონფერენციაზე.

პოლონელი მრბოლის გერმანელი თანაგუნდელი ნიკ ჰაიდფელდი იმდენად მიმდინარე ჩემპიონატზე არ აკეთებს აქცენტს, რამდენადაც მომავალ სეზონზე ფიქრობს. „რა თქმა უნდა, მეორე ადგილით კმაყოფილი ვარ. ეს შესანიშნავი შედეგია, მით უმეტეს, რომ გუნდმა დუბლი შეასრულა. ეს ნიშნავს, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ. ჩვენ ყოველთვის ვაღწევდით დასახულ მიზნებს და შემდეგი მიზანი კი ის გახლავთ, რომ 2009 წელს ჩემპიონობისთვის უნდა ვიბრძოლოთ“ — ბრძანა ჰაიდფელდმა.

თავისი პილოტებისგან განსხვავებით, გაცილებით თავშეკავებულად საუბრობს „BMW-ზაუბერის“ ტექნიკური დირექტორი ვილი რამპფი: „ძალიან სასიამოვნოა, როდესაც პირველ გამარჯვებას აღნიშნავ. ეს დიდი პრიზი ხომ პირველია როგორც გუნდისთვის, ასევე ჩემთვის. ჩვენ კარგი მანქანა გვყავს, მაგრამ როდესაც რბოლა ნორმალურ პირობებში ტარდება, შანსი იმისა, რომ ვაჯობოთ „ფერარისა“ და „მაკლარენს“, მიზერულია. ჩვენ ჯერაც ჩამოვრჩებით ამ ტოპ-გუნდებს და ვიყოთ გულახდილნი — მოვიგეთ იმის წყალობით, რომ პიტ-სტოპზე ჰემილტონი რაიკონენს დაეჯახა და ორივე გავარდა. ჩვენ გაგვიმართლა, მათ — არა.“

ბაბა ლომაძე

ალეხანდრო ვალვერდე

დოფინი ლიბერე სამოცზე ავიდა

საფრანგეთში გახურდა პრო-ტურის სერიაში შემავალი ერთკვირიანი რბოლა „კრიტერიუმ დოფინი ლიბერე“, რომელიც ტრადიციულად ითვლება ველოსეზონის უმთავრესი შეჯიბრის, „ტურ დე ფრანსის“ გენერალურ რეპეტიციად და წლეულს ერთგვარ იუბილეს აღნიშნავს — მესამოცედ ტარდება.

„დოფინი ლიბერეს“ გამარჯვებულთა შორის ისეთ ლეგენდარულ სახელებს ვხვდებით, როგორებიც ლუსიენ ბობე (1955), ჟაკ ანკეტილი (1963, 1965), რაიმონდ პულიდორი (1966, 1969) ლუის ოკანა (1970, 1972-73), ედი მერქსი (1971), ბერნარ ტევენე (1975-76), ბერნარ ინო (1977, 1979, 1981), გრეგ ლემონდი (1983), მიგელ ინდურაინი (1995-96) და ლენს არმსტრონგი (2002-03) არიან. არაერთხელ ყოფილა, რომ „დოფინი ლიბერეს“ გამარჯვებულს შემდეგ „ტურიც“ მოუგია და ბოლოს ასეთი რამ, თანაც მიყოლებით ორჯერ, დიადმა ამერიკელმა ლენს არმსტრონგმა გააკეთა.

არმსტრონგის შემდეგ „დოფინი ლიბერზე“ ესპანელებმა, იბან მაიომ და ინიგო ლანდალუზმა, ამერიკელმა ლევი ლეიფემერმა და ფრანგმა კრისტოფ მორომ იმარჯვეს, თუმც მერე, „ტურზე“, ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწიეს.

წლევანდელ „ტურზე“ შარშანდელი გამარჯვებული, ახლახან დასრულებული „ჯირო დიტალიას“ ტრიუმფატორი ალბერტო კონტადორი არ იქნება, რადგანაც ფრანგული სუპერრბოლის ორგანიზატორებმა ნათქვამი არ გადათქვეს და ესპანელის გუნდი, ყაზახურ-ლუქსემბურგული „ასტანა“ რბოლის მიღმა დატოვეს. ალბათ ამიტომაც, კონტადორი არც „დოფინი ლიბერზე“ ჩავიდა. მომავალი „ტურის“ სავარაუდო ფავორიტებიდან კი „კრიტერიუმში“ ავსტრალიელი კედელ ევანსი და ესპანელი ალეხანდრო ვალვერდე მონაწილეობენ და პირველი დღეების ერთ-ერთი უმთავრესი გმირი, სწორედ ვალვერდე იყო.

5,6-კილომეტრიანი პროლოგი კონტადორის ამერიკელმა თანაგუნდელმა ლეიფემერმა მოიგო, რომელმაც წამნახევრით აჯობა ნორვეგიელ ტორ ჰუსჰოვდს, ხოლო ვალვერდე მესამე იყო გამარჯვებულთან ექვსწამიანი ჩამორჩენით. აი, პირველი ეტაპი კი, რომელიც ავინიონსა და პრივას შორის 194 კილომეტრზე იყო გაჭიმული, უკვე ვალვერდეს გამარჯვებით დასრულდა. „კაის დეპარნის“ მრბოლმა ფინიშზე ხსენებულ ჰუსჰოვდსა და გერმანელ ბიორნ შრიოდერს აჯობა. გენერალურ კალსიფიკაციაში სწორედ ორგზის მეორე ჰუსჰოვდი დაწინაურდა, ვისაც ვალვერდე ოდენ ერთი წამით ჩამორჩება, ხოლო ლეიფემერი — ხუთით.

მთავარი ამბები კი უახლოეს ეტაპებზე, მთებში იქნება — „დოფინი ლიბერე“ ხომ სწორედ ურთულესი სამთო ეტაპებით არის ცნობილი, რომელთაგან ზოგიერთი, თითქმის მთლიანად იმეორებს ხოლმე მომავალი „ტურის“ სამთო გზების მარშრუტს.

ჰემილტონის -10

ლუის ჰემილტონი და კიმი რაიკონენი ავარიის შემდეგ

როგორც „BMW-ზაუბერის“ ტექნიკურმა დირექტორმა ვილი რამპფმაც აღიარა, რობერტ კუბიცას მონრეალური ტრიუმფი მხოლოდ იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ პიტ-სტოპიდან გამოსვლისას მაკლარენელმა ლუის ჰემილტონმა შუქნიშანზე წითელი ფერი გვიან შენიშნა, დამუხრუჭება ვეღარ მოასწრო და კიმი რაიკონენის „ფერარის“ შეასკდა.

უემოციო ფინელის ადგილზე სხვა ვინმე რომ ყოფილიყო, ალბათ ერთ სკანდალს გაუმართავდა ჰემილტონს, მაგრამ კიმიმ მხოლოდ შუქნიშნისკენ გაახედა ინგლისელი და შემდეგ დანანებით თქვა, კარგი რბოლა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჰემილტონმა წამიხდინაო.

თავად ინგლისელი თავს არ იმართლებს, მაგრამ ამბობს, როდესაც წინ ორი მანქანა ერთბაშად გაშეშდა, წითელი ფერი მერეღა დავინახე და დამუხრუჭება ვეღარ მოვასწარი, რის გამოც კიმის ბოდიშიც მოვუხადეო.

ბოდიში, რა თქმა უნდა, ზრდილობის ამბავია, მაგრამ საქმეს აღარ შველის და რადგანაც ჰემილტონის გაუფრთხილებლობის გამო სხვა დაზარალდა, რბოლის სტიუარდებმა განაჩენი გამოიტანეს და ჰემილტონი და „უილიამსის“ ნიკო როსბერგი, რომელმაც წითელი ფერი აგრეთვე ვერ დაინახა, მომავალ, საფრანგეთის დიდ პრიზზე 10-10 სასტარტო პოზიციით დაჯარიმდებიან, ანუ კვალიფიკაციისას რა ადგილსაც დაიკავებენ, იმაზე ათი ადგილით უკან დაიწყებენ რბოლას.

ამასთან დაკავშირებით, „მაკლარნის“ ბოსმა რონ დენისმა განაცხადა, რომ გუნდი არ აპირებს სტიუარდების გადაწყვეტილების გასაჩივრებას და საფრანგეთში წარმატების მიღწევას უკანა რიგებიდან შეეცდება.

ბაბა ლომაძე

მეხუთე პანტანი როსის მრგო

იტალიაში მეხუთედ ჩატარდა ლეგენდარული ველომრბოლის, მარკო პანტანის მემორიალი. 172-კილომეტრიანი რბოლა 26 წლის ენრიკო როსის გამარჯვებით დასრულდა. როსი კიდევ ერთ იტალიელ ლუკა ცელისთან ერთად 26-ე კილომეტრზე მოწყდა ძირითად ჯგუფს და ეს დუეტი პელოტონს 96-ე კილომეტრზე რვა წუთს უგებდა კიდეც, მაგრამ შემდეგ ცელი ჩამორჩა, როსი მარტო დარჩა და მისმა უპირატესობამ დნობა დაიწყო.

დისტანციის სიგრძე კიდევ ერთი კილომეტრით მეტი რომ ყოფილიყო, როსის იქნებ ველარც გაეძლო, რადგანაც უახლოესი მდევრები, „ჯიროს“ ძველი ჩემპიონი დამიანო კუნეგო და უკრაინელი რუსლან პოდგორნი ფინიშის სიახლოვეს, უკვე კუდზე ესხდნენ. თუმც როსიმ გასაძლებს გაუძლო, ფინიშს პირველმა, კუნეგოსა და პოდგორნიზე 5 წამით ადრე უწია და ლეგენდარული თანამემამულის მემორიალი მოიგო.

სარგებელი და კრეკერ

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		იტალია. სერია B						
		11 ივნისი						
22:45	453	ალბინოლეფე-ლეჩე	2.60	2.80	2.75	1.34	1.33	1.38
		შვედეთი. სუპერეტა						
		11 ივნისი						
21:00	452	სირიუსი-ვესბი	1.90	3.50	3.65	1.23	1.24	1.78
		ისლანდია. პრემიერ დივიზიონი						
		11 ივნისი						
23:15	464	ფიოლნირი-ფილკირი	2.20	3.15	2.85	1.29	1.24	1.49
		UEFA. ევროპის ჩემპიონატი 2008						
		11 ივნისი						
20:00	9	ჩეხეთი-პორტუგალია	3.90	3.20	1.95	1.75	1.29	1.21
22:45	10	შვეიცარია-თურქეთი	2.20	3.20	3.40	1.30	1.33	1.64
		12 ივნისი						
20:00	11	ხორვატია-გერმანია	4.50	3.20	1.85	1.87	1.31	1.17
22:45	12	ავსტრია-პოლონეთი	3.10	3.20	2.30	1.57	1.32	1.33
		13 ივნისი						
20:00	13	იტალია-რუმინეთი	1.75	3.30	5.00	1.14	1.29	1.98
22:45	14	ჰოლანდია-საფრანგეთი	2.60	3.10	2.65	1.41	1.31	1.42
		14 ივნისი						
20:00	15	შვედეთი-ესპანეთი	5.00	3.20	1.75	1.95	1.29	1.13
22:45	16	საბერძნეთი-რუსეთი	2.85	3.10	2.60	1.48	1.35	1.41
		15 ივნისი						
22:45	17	შვეიცარია-პორტუგალია	3.85	3.20	2.05	1.74	1.33	1.24
22:45	18	თურქეთი-ჩეხეთი	3.10	3.20	2.25	1.57	1.30	1.32
		16 ივნისი						
20:00	19	პოლონეთი-ხორვატია	3.30	3.20	2.20	1.62	1.32	1.30
22:45	20	ავსტრია-გერმანია	8.00	3.70	1.45	2.52	1.22	1.04
		17 ივნისი						
22:45	21	ჰოლანდია-რუმინეთი	1.90	3.20	4.00	1.19	1.28	1.77
22:45	22	საფრანგეთი-იტალია	2.90	3.00	2.55	1.47	1.35	1.37
		18 ივნისი						
20:00	23	რუსეთი-შვედეთი	2.60	3.20	2.60	1.43	1.29	1.43
22:45	24	საბერძნეთი-ესპანეთი	4.30	3.20	1.85	1.83	1.29	1.17
		რუსეთი. თასი						
		11 ივნისი						
18:00	405	მეტალურგი ლიპ-ლუხოვიცი	1.90	2.90	3.90	1.14	1.27	1.66
18:30	406	დინამო ვორონეჟი-ავანგარდი კურ	2.35	2.80	2.80	1.27	1.27	1.39
		13 ივნისი						
16:00	407	გაზოვიკი ორ-ალნასი	1.11	6.50	10.00	1.00	1.00	3.93
16:00	408	ლადა ტ-ვოლგა ნნ	3.80	2.90	1.95	1.64	1.28	1.16
		შერეული						
		11 ივნისი						
19:00	402	სკონტო-ვენტსპილსი(ლატ)	2.85	2.70	2.45	1.38	1.31	1.28
		კალათბურთი გერმანია						
		11 ივნისი						
22:15	404	ბონი-ალბა	2.00	12.00	1.60	1.71	1.00	1.41

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10009	ჩეხეთი-პორტუგალია	3.40	2.00	2.60	1.25	1.47	1.13
10010	შვეიცარია-თურქეთი	2.50	2.00	3.60	1.11	1.47	1.28
10011	ხორვატია-გერმანია	3.40	2.00	2.60	1.25	1.47	1.13
10012	ავსტრია-პოლონეთი	3.40	2.00	2.60	1.25	1.47	1.13
10013	იტალია-რუმინეთი	2.20	2.10	4.30	1.07	1.45	1.41
10014	ჰოლანდია-საფრანგეთი	3.30	2.00	2.65	1.24	1.46	1.13
10015	შვედეთი-ესპანეთი	4.90	2.10	2.10	1.47	1.47	1.04
10016	საბერძნეთი-რუსეთი	2.80	2.00	3.05	1.16	1.45	1.20
10017	შვეიცარია-პორტუგალია	3.60	2.00	2.40	1.28	1.44	1.09
10018	თურქეთი-ჩეხეთი	3.80	2.00	2.35	1.31	1.45	1.08
10019	პოლონეთი-ხორვატია	4.10	2.00	2.30	1.34	1.47	1.06
10020	ავსტრია-გერმანია	7.00	2.50	1.55	1.84	1.26	1.00
10021	ჰოლანდია-რუმინეთი	2.40	2.00	3.60	1.09	1.44	1.28
10022	საფრანგეთი-იტალია	3.30	2.00	2.65	1.24	1.46	1.13
10023	რუსეთი-შვედეთი	3.15	2.00	2.80	1.22	1.48	1.16
10024	საბერძნეთი-ესპანეთი	4.40	2.00	2.20	1.37	1.46	1.04

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11009	ჩეხეთი-პორტუგალია	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11010	შვეიცარია-თურქეთი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11011	ხორვატია-გერმანია	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11012	ავსტრია-პოლონეთი	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11013	იტალია-რუმინეთი	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11014	ჰოლანდია-საფრანგეთი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11015	შვედეთი-ესპანეთი	7.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.50
11016	საბერძნეთი-რუსეთი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11017	შვეიცარია-პორტუგალია	4.80	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11018	თურქეთი-ჩეხეთი	4.80	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11019	პოლონეთი-ხორვატია	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11020	ავსტრია-გერმანია	10.00	10.00	20.00	9.00	4.80	3.50	20.00	10.00	1.90
11021	ჰოლანდია-რუმინეთი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11022	საფრანგეთი-იტალია	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11023	რუსეთი-შვედეთი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11024	საბერძნეთი-ესპანეთი	6.50	10.00	20.00	7.50	4.40	3.60	20.00	10.00	2.60

II ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
19009	ჩეხეთი-პორტუგალია	4.50	2.00	2.25	1.38	1.50	1.05
19010	შვეიცარია-თურქეთი	2.75	2.00	3.50	1.15	1.53	1.27

შესაძლო ცვლილებები დაბაზისტთან ადგილზე

რომელ ტაიმში იძნება მეტი კუთხური(ძირ. დრო)

		I-ში	თანაბრად	II-ში
40009	ჩეხეთი-პორტუგალია	2.10	4.00	1.80
40010	შვეიცარია-თურქეთი	2.10	4.00	1.80

ვინ მიიღებს პირველ ᲧᲐᲜ Ყ ბარათს (ძირ. დრო)

		1	2
33009	ჩეხეთი-პორტუგალია	1.65	1.90
33010	შვეიცარია-თურქეთი	2.00	1.60

პირველ ტაიმში გატანილი გოლების რაოდენობა

		ნაკ.	მეტ.
22009	ჩეხეთი-პორტუგალია 1,5	1.25	2.60
22010	შვეიცარია-თურქეთი 1,5	1.25	2.60

ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ (ᲫᲘᲠ. ᲓᲠᲝ)

		ნაკ.	მეტ.
34009	ჩეხეთი-პორტუგალია 4,5	1.90	1.70
34010	შვეიცარია-თურქეთი 4,5	1.65	2.00

პირველი გოლი 0-29/ 30-90 (ძირ. დრო)

		1	2
25009	ჩეხეთი-პორტუგალია	1.90	1.90
25010	შვეიცარია-თურქეთი	1.90	1.90

პირველი ტაიმი შრეს გარეშე

		კი	არა
23009	ჩეხეთი-პორტუგალია	1.90	1.18
23010	შვეიცარია-თურქეთი	1.30	1.70

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

			ნაკ.	მეტ.
12009	ჩეხეთი-პორტუგალია	2,5	1.60	2.00
12010	შვეიცარია-თურქეთი	2,5	1.60	2.00
12011	ხორვატია-გერმანია	2,5	1.70	1.90
12012	ავსტრია-პოლონეთი	2,5	1.55	2.10
12013	იტალია-რუმინეთი	2,5	1.55	2.30
12014	ჰოლანდია-საფრანგეთი	2,5	1.55	2.10

ᲕᲘᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲡ

		1	2
31009	ჩეხეთი-პორტუგალია	1.90	1.90
31010	შვეიცარია-თურქეთი	1.90	1.90

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო)

		ნაკ.	მეტ.
20009	ჩეხეთი-პორტუგალია 10,5	1.65	2.00
20010	შვეიცარია-თურქეთი 10,5	1.80	1.80

თამაშგარე მდგომარეობა (ძირ. დრო)

		ნაკ.	მეტ.
36009	ჩეხეთი-პორტუგალია 5,5	1.90	1.70
36010	შვეიცარია-თურქეთი 5,5	1.90	1.70

იძნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

		კი	არა
21009	ჩეხეთი-პორტუგალია	3.00	1.20
21010	შვეიცარია-თურქეთი	3.00	1.20

პირველ ტაიმში კუთხურების რაოდენობა

		ნაკ.	მეტ.
24009	ჩეხეთი-პორტუგალია 4,5	1.90	1.70
24010	შვეიცარია-თურქეთი 4,5	1.70	1.90

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

		ნაკ.	მეტ.
13009	ჩეხეთი-პორტუგალია	1.70	1.90
13010	შვეიცარია-თურქეთი	1.70	1.90
13011	ხორვატია-გერმანია	1.70	1.90
13012	ავსტრია-პოლონეთი	1.70	1.90
13013	იტალია-რუმინეთი	1.70	1.90
13014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1.70	1.90
13015	შვედეთი-ესპანეთი	1.90	1.70
13016	საბერძნეთი-რუსეთი	1.70	1.90
13017	შვეიცარია-პორტუგალია	1.70	1.90
13018	თურქეთი-ჩეხეთი	1.70	1.90
13019	პოლონეთი-ხორვატია	1.70	1.90
13020	ავსტრია-გერმანია	1.90	1.60
13021	ჰოლანდია-რუმინეთი	1.70	1.90
13022	საფრანგეთი-იტალია	1.70	1.90
13023	რუსეთი-შვედეთი	1.70	1.90
13024	საბერძნეთი-ესპანეთი	1.70	1.90

ᲕᲘᲜ ᲛᲝᲐᲬᲕᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲙᲣᲗᲮᲣᲠᲡ (ᲫᲘᲠ. ᲓᲠᲝ)

		1	2
32009	ჩეხეთი-პორტუგალია	2.60	1.60
32010	შვეიცარია-თურქეთი	1.70	1.90

გოლი გავა კომპენსირებულ დროში

39009	ჩეხეთი-პორტუგალია კი	3.10
39010	შვეიცარია-თურქეთი კი	3.10

გაიტანს თუ არა შეცვლაზე შემოსული გოლს(ძირ დრო)

49009	ჩეხეთი-პორტუგალია კი	3.70
49010	შვეიცარია-თურქეთი კი	3.70

პირველ ტაიმში იძნება შეცვლა

43009	ჩეხეთი-პორტუგალია კი	3.50
43010	შვეიცარია-თურქეთი კი	3.50

მეკარე შეიცვლება (ძირ. დრო)

45009	ჩეხეთი-პორტუგალია კი	6.00
45010	შვეიცარია-თურქეთი კი	6.00

იძნება გაკეთება(ძირ. დრო)

37009	ჩეხეთი-პორტუგალია კი	3.30
37010	შვეიცარია-თურქეთი კი	3.30

გოლი:ᲧᲕᲘᲚᲘ-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ᲧᲕᲘᲚᲐᲓ)

17009	ჩეხეთი-პორტუგალია	1.85	1.95
17010	შვეიცარია-თურქეთი	1.85	1.95
17011	ხორვატია-გერმანია	1.85	1.95
17012	ავსტრია-პოლონეთი	1.85	1.95
17013	იტალია-რუმინეთი	1.85	1.95
17014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1.85	1.95
17015	შვედეთი-ესპანეთი	1.85	1.95
17016	საბერძნეთი-რუსეთი	1.85	1.95
17017	შვეიცარია-პორტუგალია	1.85	1.95
17018	თურქეთი-ჩეხეთი	1.85	1.95
17019	პოლონეთი-ხორვატია	1.85	1.95
17020	ავსტრია-გერმანია	1.85	1.95
17021	ჰოლანდია-რუმინეთი	1.85	1.95
17022	საფრანგეთი-იტალია	1.85	1.95
17023	რუსეთი-შვედეთი	1.85	1.95
17024	საბერძნეთი-ესპანეთი	1.85	1.95

ᲖᲣᲡᲢᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

47009	ჩეხეთი-პორტუგალია	2:1	12.00
47009	ჩეხეთი-პორტუგალია	0:3	14.00
47009	ჩეხეთი-პორტუგალია	1:3	15.00
47009	ჩეხეთი-პორტუგალია	2:3	25.00
47009	ჩეხეთი-პორტუგალია	1:0	8.00
47009	ჩეხეთი-პორტუგალია	0:2	6.50
47009	ჩეხეთი-პორტუგალია	0:1	6.00
47009	ჩეხეთი-პორტუგალია	1:2	8.00
47009	ჩეხეთი-პორტუგალია	2:0	15.00
47009	ჩეხეთი-პორტუგალია	3:0	30.00
47009	ჩეხეთი-პორტუგალია	3:1	30.00
47009	ჩეხეთი-პორტუგალია	3:2	35.00
47009	ჩეხეთი-პორტუგალია	0:0	8.00
47009	ჩეხეთი-პორტუგალია	1:1	7.00
47009	ჩეხეთი-პორტუგალია	2:2	16.00
47010	შვეიცარია-თურქეთი	2:1	8.50
47010	შვეიცარია-თურქეთი	1:1	6.50
47010	შვეიცარია-თურქეთი	2:0	9.00
47010	შვეიცარია-თურქეთი	3:0	17.00
47010	შვეიცარია-თურქეთი	3:1	18.00
47010	შვეიცარია-თურქეთი	0:0	8.00
47010	შვეიცარია-თურქეთი	2:2	16.00
47010	შვეიცარია-თურქეთი	0:1	8.50
47010	შვეიცარია-თურქეთი	0:2	13.00
47010	შვეიცარია-თურქეთი	1:2	11.00
47010	შვეიცარია-თურქეთი	0:3	28.00
47010	შვეიცარია-თურქეთი	1:3	27.00
47010	შვეიცარია-თურქეთი	2:3	32.00
47010	შვეიცარია-თურქეთი	3:2	25.00
47010	შვეიცარია-თურქეთი	1:0	6.50

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15009	ჩეხეთი-პორტუგალია	3.00	2.80	2.00
15010	შვეიცარია-თურქეთი	3.00	2.80	2.00
15011	ხორვატია-გერმანია	3.00	2.80	2.00
15012	ავსტრია-პოლონეთი	3.00	2.80	2.00
15013	იტალია-რუმინეთი	3.00	2.80	2.00
15014	ჰოლანდია-საფრანგეთი	3.00	2.80	2.00
15015	შვედეთი-ესპანეთი	3.00	2.80	2.00
15016	საბერძნეთი-რუსეთი	3.00	2.80	2.00
15017	შვეიცარია-პორტუგალია	3.00	2.80	2.00
15018	თურქეთი-ჩეხეთი	3.00	2.80	2.00
15019	პოლონეთი-ხორვატია	3.00	2.80	2.00
15020	ავსტრია-გერმანია	3.00	2.80	2.00
15021	ჰოლანდია-რუმინეთი	3.00	2.80	2.00
15022	საფრანგეთი-იტალია	3.00	2.80	2.00
15023	რუსეთი-შვედეთი	3.00	2.80	2.00
15024	საბერძნეთი-ესპანეთი	3.00	2.80	2.00

ᲨᲠᲔᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ (ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲠᲝ)

16009	ჩეხეთი-პორტუგალია	2.10	1.60
16010	შვეიცარია-თურქეთი	1.50	2.30
16011	ხორვატია-გერმანია	2.10	1.60
16012	ავსტრია-პოლონეთი	2.10	1.60
16013	იტალია-რუმინეთი	1.30	3.00
16014	ჰოლანდია-საფრანგეთი	2.05	1.65
16015	შვედეთი-ესპანეთი	3.00	1.30
16016	საბერძნეთი-რუსეთი	1.70	1.95
16017	შვეიცარია-პორტუგალია	2.20	1.50
16018	თურქეთი-ჩეხეთი	2.30	1.45
16019	პოლონეთი-ხორვატია	2.45	1.40
16020	ავსტრია-გერმანია	5.70	1.11
16021	ჰოლანდია-რუმინეთი	1.40	2.55
16022	საფრანგეთი-იტალია	2.05	1.65
16023	რუსეთი-შვედეთი	1.95	1.65
16024	საბერძნეთი-ესპანეთი	2.90	1.32

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ᲧᲡᲝᲜᲘ ᲧᲐᲒᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲩᲐᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ)

14009	ჩეხეთი-პორტუგალია	2.00	1.80
14010	შვეიცარია-თურქეთი	1.75	2.10
14011	ხორვატია-გერმანია	2.00	1.80
14012	ავსტრია-პოლონეთი	2.00	1.80
14013	იტალია-რუმინეთი	1.65	2.30
14014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1.95	1.85
14015	შვედეთი-ესპანეთი	2.30	1.65
14016	საბერძნეთი-რუსეთი	1.85	1.95
14017	შვეიცარია-პორტუგალია	2.00	1.80
14018	თურქეთი-ჩეხეთი	2.10	1.75
14019	პოლონეთი-ხორვატია	2.20	1.70
14020	ავსტრია-გერმანია	2.60	1.20
14021	ჰოლანდია-რუმინეთი	1.70	2.20
14022	საფრანგეთი-იტალია	1.95	1.85
14023	რუსეთი-შვედეთი	1.90	1.90
14024	საბერძნეთი-ესპანეთი	2.20	1.70

ტოტალიზატორი

1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი	წყვილი	შედეგი	კოეფ-ტი	სისტ

— შვეიცარიასთან თურქეთი რა გგონია?

— ყველი და ქაბაბი

— ეგ აძინიქსია თუ იქსდვა?

— ორივე გაიტანს

— რას გაიტანს, ხო ხედავ, სამი დღე როგორ იყომარეს. შაბათიდან ვწერდი, ორივე გაიტანს-მეთქი, ექვსი მატჩი ვდიე ტო, ექვსი, ხო აზრზე ხარ, მაგის დევნაში კინალამ შვეიცარიაში ჩავედი. პირამიდას მივაწექი და ექვსივეში მარტო ერთმა გაიტანა

— დაანებე მაგ პირამიდას თავი, თორე მუმიას დაემსგავსები. უეჭველები ითამაშე.

— რა უეჭველები, ტო! ვერა ნახე, დომენეკმა და დონადონიმ წყვილად როგორ გაატყავეს ხალხი? ანრი ვითომ ტრავმირებული იყო და მოტეხეს, რო არ გაეტანა და ფრანგებს არ მოეგოთ...

— მეც მანდა ვარ. ტიპი ცვეტში ფორმაში იყო. ამხანაგურებში დაფრინავდა, ხალხი ააგდეს, საფრანგეთის ერთიანები დააწერინეს და მერე მასტი სკამზე დასვეს.

ის პონტი გააჩალიჩეს, რონალდო რო ვითომ ცუდად გახდა ძევენოსტო ვასმოის ფინალში

— იასნია, ეგრეა. ფუტბოლი ვიცი და ერთი-ორი კუში მეცა მაქ წაკითხული.

— რიბერის დააკვირდი? პროსტაამც, მასტი პერერივამდე წინ არ მიდიოდა ტო, არადა „ბაიერნში“ რეებს აკეთებდა, თავის თავს პასებს აძლევდა ტო.

ეგაც დომენეკის ნაჩალიჩარია. ვითომ ტაქტიკა და რამე და მთელი გუნდი დაბა, რო მამენტ გოლი არ გაეტანათ.

— უფრო მაგარი დომენეკი დონადონი ყოფილა, ძმაო. ეგენი უეჭველი შეკრულები იყვნენ. ჯერ საფრანგეთმა ჩატეხა, მერე ხალხმა წაგებული მაყუთის ამოსაქაჩად იტალიის მოგება დაწერა და ისე გაპარსეს, რო წვერის გასაპარსი ფული არ დაუტოვეს.

— ისე, შენც კაი დიდი წვერი გაქ, იტალია და საფრანგეთი წყვილად ხო არ გეწერა?

— შენი არ ვიცი, ტო, მარა მე ბილეთში იმ სბორნის აღარ ჩავწერ, ტრენერის გვარი დოზე რო იწყება...

კუში კოზმარია

ჩემი ბილეთი:
001 ჩეხეთი — პორტუგალია
შედეგი: მოედანზე ფრაი შევარდება
და გრიგერას ყავარჯნით სცემს
სავარაუდო მოგება: ტრავმა
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ თუ რატომ
ისმოდა სიცილის ხმა ტრეზეგეს სახლიდან
საფრანგეთი — რუმინეთის მატჩის შემდეგ

114140 *

მოკვეთილი თავები

ეს ორი ფოტო ჩეხური და პოლონური გაზეთების პირველი გვერდებია და ცხადია, მსგავსებას უმალ შეამჩნევთ. ზედა, ჩეხურ ფოტოზე, კარელ ბრიუკნერს შვეიცარიელების, ბარნეტასა და ფრეის თავები უპყრია, ქვედა პოლონურზე კი ლეო ბეენჰაკერს — მიხაელ ბალაკისა და იოახიმ ლიოვის. გაუგებარი ესღაა: ჩეხეთმა შვეიცარიას კი მოუგო, მაგრამ დამარცხებული პოლონელების მწვრთნელს გამარჯვებულ გერმანელთა თავები რა ნამუსით უჭირავს...

ზიკომ ბაღჩა მიატოვა

თურქულ „ფენერბაჰჩეს“ ახალი მწვრთნელი სჭირდება. მიზეზი: სტამბოლელებმა ბრაზილიელ ზიკოსთან ახალ კონტრაქტთან დაკავშირებით საერთო ენა ვეღარ გამონახეს.

„ჩვენ ზიკოს დავშორდით — დაადასტურა კლუბის წამრომადგენელმა აზიზ ილდირიმმა ახალ თურქულ ტელეკომპანია NTV-სთან საუბრისას — რაც შეეხება ახალი მწვრთნელის ვინაობას, ის ჩვენთვის უკვე ცნობილია, მაგრამ ჯერჯერობით მისი დასახელებისგან თავს შევიკავებთ. ახალ მწვრთნელთან მომვავლ კვირას, სტამბოლში გავაფორმებთ ხელშეკრულებას“.

შეგახსენებთ, რომ ზიკოს ხელმძღვანელობით „ფენერბაჰჩე“ გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავიდა, რაც უთუო წარმატებაა, მაგრამ თურქეთის ჩემპიონატში თანაქალაქელ „გალათასარაის“ ვერ აჯობა.

ბოლო კვირების განმავლობაში თურქულ პრესაში ხშირად იწერებოდა, რომ ბრაზილიელ მწვრთნელს და სტამბოლის კლუბს ახალ კონრტაქტთან დაკავშირებით სხვადასხვა შეხედულება აქვთ. მალიმალ იმეორებდნენ ზიკოს ნათქვამსაც, რომ მას „ფენერბაჰჩეს“ დატოვება სურს.

შეგახსენებთ, რომ წარსულის დიდი ვარსკვლავი სტამბოლში 2006 წელს გადავიდა, მანამდე კი იაპონიის ნაკრებს ედგა სათავეში.

პაპუნა კედია

კორდობას ცხოვრების კონტრაქტი

ივან რამირო კორდობამ

მილანის „ინტერთან“ კონტრაქტი 2012 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივა. ამ შეთანხმების ამოწურვის შემდეგ, კოლუმბიელი მცველი 36 წლის იქნება და ალბათ „ნერაძურიში“ დაასრულებს კარიერას.

„შეგვიძლია, უბრალოდ და მარტივად ვთქვათ, ეს მთელი ცხოვრების კონტრაქტია — „ინტერთან“ სამუდამოდ მაკავშირებს და ამით ძალიან ბედნიერი ვარ“ — განაცხადა კორდობამ.

შეგახსენებთ, რომ მას 19 თებერვლის მერე არ უთამაშია, როცა „ლივერპულთან“ შეხვედრაში მუხლის ტრავმა მიიღო. კორდობა „ინტერში“ 2000 წლის იანვარში არგენტინული „ლორენსო ალმაგროდან“ გადავიდა.

კოკი კანდელაკი

euro_fan_2008@yahoo.com

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

LONG 70: სალამი „სარბიელს“! მოვიდა, როგორც იქნა, მოვიდა დიდი ტურნირი და მეც გადავწყვიტე, ორიოდ სიტყვის მოწერა საყვარელ გაზეთსა და რუბრიკაში.

პირველ რიგში, ZIZI-TOP-ს გამოვეხმაურები და ვეტყვი: გერმანია უპირველეს ყოვლისა — DEUTCHLAND UBER ALES!!! ეგ პატიოსანი ადამიანი გერმანიას ხომ გულშემატკივრობს და თუ ZZ-TOP-საც უსმენს, მთლად ერთნაირი გემოვნება გვქონია!

აი, იტალიას კი ტოტის ცოდვებმა უწია! როგორ იყო, 2 პენალტი რომ აჭიდა ჩვენებს თავისი თეატრალურობით?! ჰოდა, აგერ, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, მათ წინააღმდეგაც შეცდნენ მსაჯები. თუმცა, ჰოლანდია მაგის გარეშეც მოიგებდა, ასე ვფიქრობ...

საფრანგეთის თამაშმაც არ დატოვა აღფრთოვანების საფუძველი. მეტს ველოდი, მაგრამ მთელი გუნდი დაცვაში რომ ჩაგიდგება, ძნელია რამის შექმნა.

გიოს სვეტეული არ იქნება ამ ჩემპიონატზე ნეტავ? ყოველთვის ჩაროზად ვინახავ და ბოლოს ვკითხულობ ხოლმე.

გიო ახვლედიანის სვეტეული

ცალი კარის სიტყვები

18 ივნისს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეექვსე ტურში ერთმანეთს შეხვდებიან ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრებები. ამის შეხსენება შუეიცარიულ-ავსტრიული დიდი ღონისძიების ფონზე, მაინც საჭიროა, რადგან ქვეყნად ძნელად რომ მოიძებნოს უფრო მაგარი სანაკრებო წყვილი.

ევროპის ჩემპიონატი კი მართლაც კარგად გახურდა: თან თავიდანვე და თან ისე, რომ წაგებულებმა ძალიან ბევრი ირბინეს, თუმცა გოლი პირველ სამ დღეში ვერ გაიტანეს.

სასიხარულო იყო ის ამბავი, რომ, მაგალითად, ჯოვანი ვან ბროკჰორსტი ცოცხალია და არა მხოლოდ ცოცხალია, არამედ მსოფლიოს ჩემპიონებსაც ამარცხებს. ოდნავ სამწუხარო ალბათ ის იყო, რომ ლუკაშ პოდოლსკი გერმანელი კია, მაგრამ მაინც პოლონელია და მაინცდამაინც პოლონეთის ნაკრებს გადაუწყვეტია ხელოვნური თამაშგარეებით თამაში, რასაც მოგეხსენებათ, ძველებული ბელგიური შეთამაშება და გი ტისის ნაზად მხრჩოლავი სიგარაც სჭირდება. ლეო ბეენჰაკერი დიდებული კაცია. ნამდვილად დიდებული და მწვრთნელიც ჯადოსნური. აბა, მაგას რომ „რეალი" ჰყავდა ოცდაორი-ოცდასამი წლის წინათ, ისეთი „რეალი" ვის ჰყავდა? მე აღარ შემხვედრია და თქვენ თუ შეგხვდათ, იხარეთ.

სად წავიდა შენი ხმალი ფანფან ტულპან? მგონი, ის ხმალი ზიზუმ წაიღო. ანრი მაინც რომ იყოს, ვინ ოხერი. ფრანგები ვერ უმატებენ თამაშის დროს. ეგებ ჯერჯერობით ვერ უმატებენ. როგორც მსოფლიო თასზე, დომენეკის ხელში, ჭრიალ-ჭრიალით გაიარეს ჯგუფი, ეგებ ახლაც — ოღონდაც, ნიკოლა ანელკა მაინც ნიკოლა ანელკაა: მას ხომ ფეხებზე კიდია განვლილი წამი, გაცუდებული მომენტი, ზედმეტი ნაბიჯი და ასეთი რამეები. ამიტომ მისგან ნაპერწკალი არ იქნება. ვისგანაც უნდა იყოს ნაპერწკალი, იმთგან ერთი სკამზე იჯდა, მეორე კი, ფრანკ რიბერი, სადღაც ჩაირბენდა ხოლმე.

ჰო, მაგრამ, რიბერი აფეთქდება. სხვა საკითხია, რომ ლილიან ტურამმა უკვე 141-ედ ითამაშა ნაკრებში და, ძველი გამოთქმისა არ იყოს, მგონი, უკვდავება პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო.

რუმინეთი შემოვიდა ევროპის ჩემპიონატზე სარკინიგზო ჯარივით და ჩადგა. ჩადგა და ფეხით მოსიარულეები არ გაატარა.

ახლა კი სტატისტიკურ ცნობართა დროა: მოვქექოთ ძველი დავთრები და ეგებ ვიპოვოთ, როდის წააგო იტალიამ ბოლოს სამი ბურთი სხვაობით? მე პირადად, ზერელე მეხსიერებით, 1970 წლის მსოფლიო თასის ფინალი მახსოვს, როცა ტოსტამ, ჟერსონმა და მათმა ამხანაგებმა 4:1 მოუგეს იტალიას, უფრო აქეთაც იქნება, მაგრამ არ მახსოვს. ისე კი, ძნელი წარმოსადგენია, მართლა წააგო იტალიამ 0:3, თუ მიგვაჩვენა.

მგონი, მართლა წააგო.

სად წავიდა შენი ხმალი ფანფან ტულპან?

ვან ნისტელროის გოლი კი თამაშგარე არ იყო. ქალაქურად შეიძლება იყო, მაგრამ ფეხბურთის წესებით არ იყო, პანუჩი მოედნის გარეთ დარჩა, მაგრამ ასე ყველას შეუძლია კარსუკან გახტეს და მეტოქე თამაშგარეში დატოვოს. ამას იუწყება მუხლი 11.4.1: „მეტოქის ფეხბურთელი ვერ იქნება თამაშგარეში, როცა ბოლო ორი მცველიდან ერთ-ერთი მოედნის გარეთ გავა."

რაც შეეხება ჰოლანდიის ნაკრებს, ჩემი ნება რომ იყოს, მათ პირდაპირ ვენაში ჩავიყვანდი და ოპერის წინ დავსხამდი ვიოლინოებით ხელში. დაუკრავენ, მშვენივრად გამოუვათ, მაგათ ყველაფერი გამოსდით. საერთოდ, თამაშისთვის დიდი ბედნიერებაა, როცა ფეხბურთელი ისე აზროვნებს, როგორც ჰოლანდიელი ფეხბურთელები აზროვნებენ.

მარადიული კითხვა კი ასე ჟღერს: როდის მოხვდება საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე. ამ მარადიული კითხვიდან კი გამომდინარეობს კითხვა, რომელიც ოცნებასაც წაეთამაშება: და რას იზამს იქ გასული?

ჩვენი ეპოქა, დეტალების ეპოქაა.

მაგრამ ჩვენ ჯერ არ გვიყვარს დეტალები, ისინი უყვართ ჰოლანდიელებს.

მე მაოცებენ ესპანელები

ფაბიო კაპელო

„ჩელსის" ნახევარმცველი მიხაელ ბალაკი გერმანიის ნაკრების ერთ-ერთი იშვიათი თავსკვლავთაგანია, მაგრამ საგანგებო ფეხბურთელთა სიმცირე გერმანელთა გუნდს, როგორც თანამებრძოლთა ერთობას, ვერაფრით აკნინებს და ამას ინგლისის ნაკრების იტალიელი თავკაცი ფაბიო კაპელოც ადასტურებს. ჯგუფიდან, რომელშიც გერმანელები გამოდიან, სწორედ ეს გუნდი ჩანს განსაკუთრებულად. პოლონეთთან, ავსტრიასთან და შესარჩევ ეტაპზე თვით ინგლისის ჩამტოვებელ ხორვატიასთან შედარებით, გერმანია აშკარად გამორჩეულია. და ვინ იცის, სადამდე მივა.

არადა, სამშობლოში იოახიმ ლიოვის ქვეშევრდომებს არცთუ ცოტა ადამიანი შთაგონებისა და ფანტაზიის ნაკლებობას საყვედურობდა, თუმცა კაპელო ამ აზრს არ ეთანხმება. მეტიც, ის მიიჩნევს, რომ გერმანია სწორედ ახლაა განსაკუთრებით ეფექტური.

„გერმანია ჩემი ერთ-ერთი ფავორიტია — თქვა ინგლისელების თავკაცმა ჯერ კიდევ შეჯიბრების დაწყებამდე — ამ გუნდის გარდა მე ვასახელებ საფრანგეთს, იტალიას, ესპანეთს და, შესაძლოა პორტუგალიასაც. მოკლედ, გერმანიას ძლიერი გუნდი ჰყავს და ვგონებ, ჯგუფიდან ის და ხორვატია გავლენ. რაც შეეხება ავსტრიას, მართალია ის მასპინძელია, მაგრამ ვფიქრობ, მას თანაჯგუფელებთან შედარებით მაინც აკლია კლასი".

გერმანიის ნაკრები უპირატესად ბუნდესლიგის მოთამაშეებისგან შეკრული გუნდია. მათ შორის არიან ისეთებიც, რომელთაც საზღვარგარეთ მაინცდამაინც არც იცნობენ, თუმცა კაპელოს ესეც დადებით მხარედ მიაჩნია.

„მუნხენის „ბაიერნის" მგვარი გუნდები ძალიან კარგია, მაგრამ საკლუბო შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის. რაც შეეხება სანაკრებო შეჯიბრებებს, აქ თითოეული მოთამაშე განსაკუთრებით ძლიერად და ჩვეულებრივზე გაცილებით უკეთ უნდა თამაშობდეს. ნაკრებში ყველას უკიდურესად უნდა სწამდეს საკუთარი შესაძლებლობების. ამ მხრივ გერმანელებს პრობლემა არ აქვთ. მართალია, ისინი ხანდახან მარცხდებიან, მაგრამ მთავარია, რომ ნებისმიერ შეხვედრაში მოედანზე მოსაგებად გადიან. გერმანელები მენტალურად ყოველთვის ძალიან ძლიერები არიან. გარდა ამისა, ევროპის ჩემპიონატი ავსტრიასა და შვეიცარიაში მიმდინარეობს, რაც თითქმის გერმანიაში თამაშს უდრის. გერმანია ყურისძირშია. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ გერმანელები შინ თამაშობენ.

მერედა, გერმანიის ეროვნული გუნდი 2006 წელსაც ძალიან ძლიერი გახლდათ, მაგრამ, ვფიქრობ, მაშინდელს ახლა სჯობია. და კიდევ, გერმანელებს ძალიან უყვართ პენალტები, რადგან პენალტებში ყოველთვის იგებენ".

რაც შეეხება ჩემპიონატის ვარსკვლავებს, ამ საკითხზე კაპელო ასე ფიქრობს:

„საფრანგეთის ნაკრებში მთავარი ფიგურა ფრანკ რიბერი იქნება, პორტუგალიაში — კრიშტიანუ რონალდუ, ესპანეთში — ფერნანდო ტორესი, იტალიაში კი ანდრეა პირლო, ლუკა ტონი და ჯანლუიჯი ბუფონი".

მაგრამ, არის კი კრიშტიანუ რონალდუ „მანჩესტერ იუნაიტედსა" და კრიშტიანუ რონალდუ პორტუგალიის ნაკრებში ერთი და იგივე სიდიდე?

„პორტუგალიის ნაკრები მხოლოდ რონალდუზე არ არის დამოკიდებული, პორტუგალიელებს მთლიანობაში ჰყავთ კარგი გუნდი — უპასუხა იტალიელმა სპეციალისტმა — ესპანეთიც ასეა, ამ გუნდებს ბურთის ფლობა და ბევრი პასის გადაწოდება უყვართ. ძალიან მომწონს პორტუგალიის ნაკრების თავკაცი ლუიშ ფელიპე სკოლარიც. მე მას ძალიან კარგად ვიცნობ. სკოლარის იტალიაში ბევრჯერ შევხვედრივარ. მაშინ „რომას" ედექი სათავეში, ის კი ბრაზილიის ნაკრების თავკაცი გახლდათ და „რომაში" თანამემამულე ფეხბურთელებს აკვირდებოდა. სკოლარი ძალიან კარგი მწვრთნელია".

შეგახსენებთ, რომ ფაბიო კაპელო სულ ცოტა ხნის წინ მადრიდის „რეალს" ედგა სათავეში და, შესაბამისად, მისი აზრი ესპანეთის ნაკრებზე ძალიან საინტერესო გახლდათ:

„არ მესმის, რატომ არ თამაშობს ესპანეთი უკეთესად. ეს მართლაც დიდი თავსატეხია. ესპანეთში მუშაობის წლებში ამაზე ძალიან ხშირად მილაპარაკია. ხალხს და გაზეთებს სულ ჰგონიათ, რომ ესპანეთის ნაკრები ევროპასა და მსოფლიოში საუკეთესოა, ისინი კი ნახევარფინალშიც არასდროს გადიან. როდესაც დიდ შეჯიბრებებზე ჩადიან და სხვა დიდ გუნდებს ხვდებიან, როგორც ჩანს, რაღაცის დიდი შიში უჩნდებათ. ესპანელები რაღაცით ინგლისელებსაც კი გვანან. ისინი ერთნაირ პრობლემებს ებრძვიან.

ესპანეთი უკიდურესად ტექნიკური გუნდია. ეს დაუჯერებელია: ამ გუნდს ევროპაში საუკეთესო ნახევარდაცვა ჰყავს. გაიხსენეთ, სესკ ფაბრეგასი, ხავი და ანდეს ინიესტა. თავდასხმაში კი ტორესი თამაშობს".

ბაბუნა ძიდია

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

იყო თუ არა თამაშგარე?

საფეხბურთო სამყაროსთვის დღეს ერთ-ერთი მთავარი თემა ის არის, იყო თუ არა ოფსაიდში რუუდ ვან ნისტელროი, როცა ჰოლანდიელმა ფორვარდმა იტალიის კარში გოლი გაიტანა და ანგარიში გახსნა.

იტალიელთა თითქმის ყველა ფეხბურთელი და მწვრთნელი რობერტო დონადონი ამბობენ, რომ თამაშგარე იყო. ალბათ, გულშემატკივრების უმრავლესობაც ამ აზრზეა და, სავარაუდოდ, მსაჯების დიდი ნაწილიც ამ შემთხვევაში ოფსაიდს დააფიქსირებდა, მაგრამ შვედმა არბიტრმა პეტერ ფროიდფელდტა და ლაინსმენმა საოცარი პედანტურობა გამოიჩინეს და ჩათვალეს, რომ კრისტიან პანუჩი, რომელიც პირით ხაზს იქით დაშავებული იწვა, ამ მომენტში თამაშში მყოფად უნდა ჩათვლილიყო, რაც ნიშნავს, რომ ვან ნისტელროიმ გოლი წესების სრული დაცვით გაიტანა.

წესების თანახმად, თუ ფეხბურთელი ხაზს იქით გადადის, მან უნდა შეატყობინოს მსაჯს, რომ ამის მიზეზი აქვს და თამაშში არ მონაწილეობს. ამ შემთხვევაში არბიტრმა უნდა გადაწყვიტოს, მართლაც ასეა, თუ ფეხბურთელი განგებ გადავიდა ხაზს იქით. თუ იგი სიმულანტობს, არბიტრმა აუცილებლად ყვითელი ბარათი უნდა აჩვენოს და ოფსაიდიც არ დააფიქსიროს.

ყველამ კარგად ვნახეთ, თუ როგორ დაეჯახა პანუჩის ჯანლუიჯი ბუფონი და „რომას“ ვეტერანი მცველი ნამდვილად არ სიმულანტობდა. თუმცა მას იმას ედავებიან, მსაჯს რატომ არ ანიშნეო. ვერც ანიშნებდა, მას მართლაც ძალიან სტკიოდა და თან ყველაფერი წამებში მოხდა, მაგრამ ჩინოვნიკები ჯიუტად იძახიან, წესების თანახმად, გოლის ჩათვლა შეიძლებოდა და მსაჯი ლაინსმენიურთ სწორად მოიქცნენ, რომ ჩათვალესო.

ჰოლანდიელებმა კი დაინახეს რომ პანუჩი დაშავდა, მაგრამ ცხადია, თამაში არ შეაჩერეს და პრინციპში ვერც ვერავინ მიედავება. მორალური თვალსაზრისით, ეს გოლი მართლაც არ გახლდათ ჩასათვლელი და წესების თანახმადაც ცოტა ბუნდოვანია, სწორად ჯიუტობენ თუ არა ჩინოვნიკები, მაგრამ ფაქტია, რომ მოხდა ისეთი რამ, რაც ფეხბურთში ძალიან იშვიათად ხდება. ამას შეიძლება „უბედური შემთხვევა“ ვუწოდოთ, რის გამოც იტალია დაიჩაგრა. თუმცა ვერც იმას გავექცევით სადმე, რომ ეს მნიშვნელოვანი მომენტი კი გახლდათ, მაგრამ ჰოლანდიამ მეტოქეს ამის გარეშეც ჯობდა და, სავარაუდოდ, ის გოლი რომც არ ჩათვლილიყო, „ნარინჯისფერები“ მაინც დამაჯერებლად მოიგებდნენ.

იტალიის მსაჯთა ასოციაციის შეფი ჩეზარე გუსონი:

„ლაინსმენის გადაწყვეტილება უეფას წესების თანახმად 100 პროცენტით მართებული იყო. პანუჩი ის ფეხბურთელია, ვის გამოც ვან ნისტელროის ოფსაიდი არ ჩაეთვალა. ეს წესი იმისთვის არის, რომ ფეხბურთელები განგებ არ გავიდნენ ხაზს იქით, რათა მეტოქე ხელოვნურად არ დატოვონ თამაშგარეში. პანუჩი ძალით არ გასულა, მაგრამ ასე გამოვიდა, რომ კრისტიანმა მსაჯს გოლის ჩათვლის საბაბი მისცა. ასეა თუ ისე, იტალიამ ერთ ბურთზე დიდი სხვაობით წაგო და ამ ინციდენტის კი არა, სულ სხვა მიზეზების გამო“.

„გოლი წესების დაცვით ჩაითვალა. ხშირად წესების ინტერპრეტაციას არასწორად ახდენენ“ — თქვა უეფას გენერალურმა მდივანმა დევიდ ტეილორმა.

ბესოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა იტალიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი კოშმარულად დაიწყო — ჰოლანდიასთან 0:3 წაგებით. სამბურთიანი სხვაოით იტალია უაღრესად იშვიათად აგებს, მით უმეტეს, დიდი ტურნირების ფინალურ ეტაპზე. დიდი შანსია, „სკუადრა აძურა“ ჯგუფიდან ვეღარ გავიდეს. ამის გამო, აპენინებზე რობერტო დონადონის კრიტიკის ტალღა ხელახლა აგორდა და არცთუ უსაფუძვლოდ. ახალგაზრდა მწვრთნელმა აშკარად დაუშვა შეცდომები შემადგენლობის შერჩევისას, დააგვიანა შეცვლები და ტაქტიკურადაც გადასარევი გადაწყვეტილებები არ მიუღია.

ამაზრზენი სანახავი იყო „სკუადრა აძურას“ დაცვა, განსაკუთრებით დაცვის ცენტრი, სადაც მარკო მატერაცი და ანდრეა ბარცალი იყვნენ გამწესებულნი. იტალიელებს დაცვაში პრობლემბი რომ ექნებოდათ, მით უმეტეს, ფაბიო კანავაროს დაშავების შემდეგ, ისედაც ცხადი გახლდათ, მაგრამ ის, რაც მოხდა, მეტისმეტი იყო. ზოგჯერ ახალგამომცხვარ კაპიტანს, ჯანლუიჯი ბუფონსაც კი უხდებოდა ცენტრალური მცველის ფუნქციების შესრულება.

გაუგებარი გახლდათ დანიელე დე როსის სათადარიგოთა სკამზე დატოვება. მინდორზე დაგვიანებით შესული ფაბიო გროსო და ალესანდრო დელ პიერო კი საუკეთესონი იყვნენ, მათ ბუფონთან ერთად ყველაზე მაღალი შეფასება (6,5) მიიღეს. ფეხბურთელთაგან ყველაზე დაბალი შეფასება მატერაციისა და ბარცალის ერგოთ — 4,5. თავად დონადონის კი ძალიან დაბალი ნიშანი, 4,0 დაუწერეს.

იტალიელთა თამაშში არ იგრძნობოდა ერთობა. კოშმარულად მოქმედ დაცვაზე სათქმელიც არაფერია. ნახევარდაცვა საერთოდ მოწყვეტილი იყო ორივე რგოლს. თავდასხმაში კი ლუკა ტონი ვერ გაისარჯა ხეირიანად, ის და ანტონიო დი ნატალე ერთმანეთს ვერ უგებდნენ. ფეხბურთელებს ნერვულობაც აშკარად ეტყობოდათ.

იტალიის კატასტროფა და ოცდაათწლიანი ნავსი

ამ ყველაფერს სათადარიგოთა სკამიდან დაღვრემილი უყურებდა კანავარო, რომელსაც ნაკრებთან ერთად, სხვა ფეხბურთელების გვერდით ყოფნის ნება ოფიციალურად დართეს.

„მილანის“ ნახევარმცველმა ანდრეა პირლომ დონადონი საჯაროდ გააკრიტიკა:

„ცუდად დავიწყეთ, მაგრამ წინ კიდევ ორი მატჩია; უკეთ უნდა ვითამაშოთ და მოვიგოთ. დანიელე დე როსის რომ ეთამაშა, უფრო წინ ვიქნებოდი, მაგრამ გუნდში სულ 23 მოთამაშეა და გადაწყვეტილებებს მწვრთნელი იღებს. როცა მინდორზე გროსო შემოვიდა და ტაქტიკურად გადავიწყვეთ, უკეთ ავთამაშდით, ეს ალბათ უფრო ადრე უნდა გაგვეკეთებინა“.

თავად დონადონი ეცადა, ყურადღება მომავალ მატჩებზე გადაეტანა და თავისი გადაწყვეტილებები დაეცვა:

„ცუდად ვითამაშეთ და დამსახურებულადაც წავაგეთ, მაგრამ 0:3 გადამეტებული ანგარიში იყო. შემადგენლობის შერჩევა კი ჩემი კომპეტენციაა და პასუხსაც მე ვაგებ“.

„იმედია, ამ მარცხს ჩვენს საარგებლოდ გამოვიყენებთ — ამბობს ბუფონი — თამაში მნიშვნელოვნად უნდა შევცვალოთ. რაც ნაკრებში ვარ, ეს უცუდესი მატჩია. ჰოლანდიამ ბრწინვალედ ითამაშა და მოგება დაიმსახურა. ბიჭებს ველაპარაკე და გადავწყვიტეთ, ფანებისთვის ბოდიში მოგვეხადა. ალალად არ ველოდით, ასეთ კოშმარულ დასაწყისს“.

„ჩვენთვის ყოველმხრივ ნეგატიური საღამო იყო. მძიმე მდგომარეობაში ვართ, მაგრამ სიტუაციის გაანალიზება უკვე დავიწყეთ და საუკეთესო გამოსავალს ვეძებთ. განწყობა ოტიმისტურია. არ ვიცი, მომავალ მატჩში ვიქნები თუ არა ძირითად შემადგენლობაში. ახლა დონადონის კრიტიკას დაიწყებენ, მაგრამ ყველანი ერთ ნავში ვართ და პასუხისმგებლობასაც თანაბრად ვიზიარებთ. რუუდ ვან ნისტელროის გოლს რაც შეეხება, მეოთხე მსაჯი მყისვე მოვიდა ჩვენთან და აგვიხსნა, რომ პანუჩი აქტიურ ფეხბურთელად ითვლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ხაზს იქით იყო. თუმცა ჩვენი პროტესტიც ბუნებრივი და გასაგებია, კრისტიანი დაშავებული გახლდათ და თავისი ნებით არ გასულა ხაზს იქით“ — აღნიშნა დელ პიერომ.

ჰოლანდიელთა ბანაკში, ცხადია, რადიკალურად განსხვავებული განწყობაა. „ნარინჯისფერები“ თავიანთ ტრიუმფს ზეიმობენ და უაღრესად ოპტიმისტური განწყობა აქვთ.

ჰოლანდიელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს, მაგრამ ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი, უესლი სნეიდერი და ედვინ ვან დერ სარი მაინც განსაკუთრებულად გამოირჩნენ. ასევე, აუცილებლად უნდა ვახსენოთ დირკ კუიტი, რაფაელ ვან დერ ვაარტი და რუუდ ვან ნისტელროი.

ჰოლანდიელთა თავდამსხმელი რობინ ვან პერსი:

„მეტოქემ თავიდანვე დაცვიდან თამაში არჩია, ჩვენ კი შევუტიეთ და ორი გოლიც უცებ გავიტანეთ. რაც შეეხება საკამათო სიტუაციას, თავიდან ჩვენც ასე მოგვეჩვენა, მაგრამ კარის უკან პანუჩი იწვა, რომელიც ტრავმირებული არ იყო და იგი აქტიურ მოთამაშედ ითვლებოდა. შესაძლოა, ცოტა უცნაური წესია, მაგრამ ის არსებობს და ამიტომ, წესები კარგად უნდა ვიცოდეთ. მთლიანობაში ფანტასტიკურად ვითამაშეთ და დამსახურებულად მოვიგეთ. ახლა მომავალ მეტოქეებზე ვფიქრობთ“.

და ბოლოს, შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიას იტალიისთვის 30 წელი არ მოეგო.

ბიორგი ძაძაგაძე



ობიექტი



ვის ჰყავს ყველაზე ლამაზი გულშემატკივრები? ნუ, ამ ფოტოს მიხედვით, საფრანგეთს, ისე კი, შეგვიძლია ვიკამათოთ.

აი, რაზეც არ უნდა ვიკამათოთ, ის არის, რომ შვეიცარიელი ალექსანდრ ფრეი ძალიან ცოდოა, ევროპის ჩემპიონატზე ფეხმა პირველივე მატჩის პირველივე ტაიმში რომ უმტყუნა.

ფეხს რომ იქნევს, ხორვატთა მწვრთნელი სლავენ ბილიჩია — ავსტრიასთან თამაშის მეორე ტაიმს თუ უყურეთ, მწვრთნელს ფეხი მართლა საქნევი აქვს.

ფეხს ესპანელთა მწვრთნელი ლუის არაგონესიც იქნევს, ოღონდ ბურთს უქნევს და კენწლის. მისმა გუნდმა გუშინ ითამაშა.

ხოლო **I NEED TICKET** რასაც ნიშნავს, ვინძლო ინგლისურის არმცოდნეთათვისაც ოლად მისახვედრი უნდა იყოს.



ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

A ჯგუფი. II ტური. დღეს

კარელ ბრიუკნერი

პორტუგალიური გეგმა და ჩეხური ცვლილებები

„სტად დე ჟენევი“, ჟენევა

ჩეხეთი — პორტუგალია

სავარაუდო შემადგენლობები

ჩეხეთი: ჩეხი; გრიგერა, როზეჰნალი, უიფალუში, იანკულოვსკი; სიონკო, პოლაკი, გალაშეკი, პლაშილი; მატეიოვსკი; კოლერი

მწვრთნელი: კარელ ბრიუკნერი

პორტუგალია: რიკარდუ; ბოსინგვა, პეპე, კარვალიუ, ფერეირა; პეტიტი; დეკუ, მოუტინიუ; სიმაუ, კრიშტიანუ რონალდუ, ნუნუ გომეში

მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

A ჯგუფიდან გასვლის მთავარი კანდიდატები სწორედ პორტუგალიისა და ჩეხეთის ნაკრებები არიან და, შესაძლოა, რომელიმე მათგანმა მეოთხედფინალის საგზური დღესვე მოიპოვოს. პორტუგალიელები სწორედ ამას გეგმავენ.

პორტუგალიელებმა ჯერჯერობით ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრების შთაბეჭდილება დატოვეს და ფავორიტის წოდება განიმტკიცეს. ლუიშ ფელიპე სკოლარის შეგირდების გაძლება კარელ ბრიუკნერის კარგად აწყობილ, მაგრამ პირველი მატჩის მიხედვით, თუ ვიმსჯელებთ, ცოტა მძიმე ნაკრებს მოუწევს.

პირველი მატჩი პორტუგალიელებმა მთლიანობაში კარგად ჩაატარეს, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ჟოაუ მოუტინიუ გახლდათ. 21 წლის ფეხბურთელს გამოცდილი დეკუ აქებს.

„მასთან ერთად თამაში ძალიან სასიამოვნო და ადვილია. ჩვენი მიზანი მოგება და შემდეგ ეტაპზე გასვლაა, მაგრამ ვიცით, რომ ძლიერი მეტოქე გვყავს“ — განაცხადა დეკუმ.

სავარაუდოდ, სკოლარი იგივე შემადგენლობით ითამაშებს, რაც თურქეთთან ჰყავდა. ტრავმირებული ფეხბურთელები პორტუგალიელებს არ ჰყავთ. მათ ნუნუ ეშპირიტუც შეუერთდა, რომელმაც განაცხადში დაშავებული მეკარე კიმი შეცვალა.

სრული შეადგენლობა ჰყავს ბრიუკნერსაც, რომელმაც, ალბათ, შვეიცარიასთან მატჩთან შედარებით, ძირითად თერთმეტეულში მინიმუმ ერთ ან რამდენიმე ცვლილებას მოახდენს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩეხებს თავდასხმაში ფანტაზია აშკარად აკლიათ და რაიმე სიახლე სჭირდებათ.

„ალბათ რაღაცას შევცვლი. შვეიცარიელებთან შეხვედრაში იან კოლერამდე ბურთი ფაქტობრივად ვერ მიგვქონდა და ამიტომ, იგი სხვა ფეხბურთელებისგან მოწყვეტილი იყო, თითქოს მარტო თამაშობდა. ეს უნდა გამოვასწოროთ“ — აღნიშნა ბრიუკნერმა.

შესაძლოა, ბრიუკნერმა დავიდ იროლიმის ნაცვლად ძირითადში მარეკ მატეიოვსკი დააყენოს, რომელსაც შექმნა უკეთ ეხერხება და ჩეხეთის შემტევი პოტენციალის გაზრდა ძალუძს.

მეორე ვარიანტი ორი ფორვარდით თამაშია, ანუ გამორიცხული არ არის, ბრიუკნერმა კოლერს წინა მატჩის გმირი ვაცლავ სვერკოში, ანაც მილან ბაროში შეუწყვილოს.

აღსანიშნავია, რომ ეს ნაკრებები აქამდე მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს — 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში ჩეხეთმა პორტუგალიას 1:0 მოუგო.

2004 წელს საბერძნეთს „ხელი რომ არ შეეშალა“, ჩეხეთი ფინალში გავიდოდა და იქ სწორედ მასპინძელ პორტუგალიას გადაეყრებოდა, მაგრამ...

გიორგი ძაძაბაძე

სტამბოლის ბოლი აღარ გვაახსოვს

„სენტ-იაკობ-პარკი“, ბაზელი

შვეიცარია — თურქეთი

სავარაუდო შემადგენლობები

შვეიცარია: ბენალიო; ლიხტშტაინერი, სენდეროსი, მიულერი, მანინი; ბეჰრამი, ფელსონი, ინლერი, ბარნეტა; შტრელერი, ჰაქან იაქინი

მწვრთნელი: იაკობ კუნი

თურქეთი: ვოლქანი; ჰამით ალთინთოფი, სერვეთი, აშიქი, ჰაქან ბალთა; ქაზიმი, მეჰმეთ აურელიო, ემრე, საბრი; ნიჰათი, თუნჯაი

მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

2005 წლის ნოემბერში თურქეთი და შვეიცარია ერთმანეთს მსოფლიოს ჩემპიონატის (2006) საგზურისთვის პლეი ოფში შეხვდნენ და სტამბოლური მატჩი დიდი ჩხუბით დასრულდა.

პირველი თამაში თურქებმა ბერნში 0:2 წააგეს და ნამატჩევს დაიჩივლეს, ჩვენს ჰიმნს უსტვინესო. მაშინ ფათიჰ თერიმმა თქვა, ალექსანდერ ფრაიმ ხელით უხამსი რამ მაჩვენაო, რასაც ფეხბურთელი უარყოფდა.

ოთხი დღის შემდეგ შვეიცარიის ნაკრები სტამბოლში ჩავიდა. აეროპორტში ხომ აყურყუტეს რამდენიმე საათის განმავლობაში, მერე კი მათ ავტობუსს ოსმალო ფანებმა კვერცხებით და ქვებით შეუტიეს.

უკვე მატჩამდე იდგა ჰაერში მუშტი-კრივის სუნი, მაგრამ თურქები რომ გასულიყვნენ მსოფლიოს ჩემპიონატზე, ჩხუბი ეგებ არც მომხდარიყო.

მასპინძლებმა 4:2 მოიგეს, მაგრამ სტუმრად გატანილების წყალობით, ორი მატჩის ჯამში შვეიცარიამ იმარჯვა და ამას დიდი რიარია მოყვა.

გასახდელისკენ მიმავალმა თურქებმა სტუმარი ფეხბურთელები სცემეს, მაგრამ შვეიცარიელმა ბენიამინ ჰუგელმაც კარგად იქნია მუშტები.

შედეგად, ალფაი ოზალანი ექვსი, ემრე ბელოზოღლუ და სერქან ბალჩი ორო-ორი, ჰუგელი კი ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

თურქეთის ნაკრებს ფიფამ სამი საშინაო შეხვედრის გულშემატკივრების გარეშე, ნეიტრალურ მოედანზე თამაში მიუსაჯა.

შვეიცარია და თურქეთი დღეს ერთმანეთს მეთხუთმეტედ შეხვდებიან. მანამდე ოსმალოებმა შვიდი მატჩი მოიგეს, ოთხი წააგეს და სამიც ფრედ დასრულდა.

„იოლი არაა იმის დავიწყება, რაც მაშინ სტამბოლში მოხდა — თქვა ტრანკილიო ბარნეტამ — მაგრამ ეს უკვე წარსულშია და თავიდან უნდა ამოვიგდოთ. სტამბოლის მატჩთან ახლა მხოლოდ ერთი მსგავსებაა. ორივეს აუცილებლად მოგება გვჭირდება. მართალია, ჩეხებთან დავმარცხდით, მაგრამ ჯგუფიდან გასვლა შეგვიძლია.“

ბარნეტას აზრით, თურქები უფრო გახსნილ ფეხბურთს აჩვენებენ, ვიდრე ჩეხები და ეს შვეიცარიის შანსებს ზრდის:

„კარგია, რომ თურქეთის ნაკრები შემტევ ფეხბურთს თამაშობს. პორტუგალიელებს სივრცეს აძლევდნენ და ჩვენც ეს უნდა გამოვიყენოთ. მკაცრი დაცვა და სწრაფი კონტრშეტევები — ჩეხებთან ამ ტაქტიკამ გაამართლა, მაგრამ მონეტებით ვერ ვისარგებლეთ. ამჯერად კი შეცდომის უფლება აღარ გვაქვს“.

თურქთა ნახევარმცველი უღურ ბორალი:

„უკვე დავივიწყეთ ის, რაც სტამბოლში მოხდა. ჩვენ ვეთამაშებით ევროპის ჩემპიონატის მასპინძელს და სულ ესაა. წარსულში არ ვიქექებით.

გუნდში არაერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი გვყავს. პროფესიონალები ვართ და უკეთესად თამაში გვმართებს, თორემ ტურნირიდან მალე აბარგება მოგვიწევს.

არ გაგვიმართლა, რომ პირველ მატჩში მეტად გამოცდილი პორტუგალია შეგვხვდა. დარწმუნებული ვარ, დარჩენილ ორ შეხვედრას მოვიგებთ.

ჩემი ფილოსოფია მარტივია — დიდხანს არ ვიფიქრო მეტოქის ძალაზე, არავისი არ მეშინია და ვცდილობ, ისე ვითამაშო, რომ იქით შევაშინო მოწინააღმდეგე“.

სემიჰ შენთურქი: „შვეიცარია — ჩეხეთის მატჩი გავაანალიზეთ. მასპინძლებმა ბევრი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ წააგეს. მათი სუსტი წერტილები ვიცით და უნდა გამოვიყენოთ. პორტუგალიასთან მწვრთნელის დავალება ვერ შევასრულეთ და ის შეცდომები უნდა გამოვასწოროთ“.

შვეიცარიელთა მთავარი სადარდებელი ალექსანდერ ფრაია, რომელმაც ტრავმის გამო ჩემპიონატი დაასრულა.

„ასეთი ფორვარდის გამოკლება დიდად სამწუხაროა, მაგრამ ტირილით და წუწუნით საქმეს ვერ ვუშველით“ — თქვა იაკობ კუნმა და ფრაის ნაცვლად ალბათ ჰაქან იაქინს ათამაშებს.

თურქებს პორტუგალიასთან დაშავებული გიოქჰან ზანი დააკლდებათ, სერვეთ ჩეთინის თამაში კი საეჭვოა.

ფათიჰ თერიმი და მისი შეგირდები

ვაჟა ხუციშვილი

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

D ჯგუფი

№7 ესპანეთი 4:1 რუსეთი

10 ივნისი, ინსბრუკი (ავსტრია), „ტივოლი ნოი“. 30 772 მაყურებელი

1:0, 2:0, 3:0 ვილია (20, 44, 75), 3:1 პავლიუჩენკო (31), 4:1 ფაბრეგასი (90)



შეცვლა: სიჩოვი – 23. ბისტროვი (46), ტორესი – 10. ფაბრეგასი (54), სემშოვი – 7. ტორბინსკი (58), ინიესტა – 12. ჯასორლა (63), ბისტროვი – 6. ადამოვი (70), ვილია – 14. ხაბი ალონსო (77)

მსაჯები: ჯონრად ჰლაუცი (ავსტრია); ეგონ ბეროიტერი (ავსტრია), მარკუს მაირი (ავსტრია)

22	ჯარიმა	18
4	კუთხური	6
5	ჯარისკენ დარტყმა	4
12	ჯარში დარტყმა	6
2	თამაშგარე	5
30,51 წთ	ბურთის ფლობა	35,38 წთ
46%	ბურთის ფლობა	54%

ფურიამ კლასი გადმოაფრქვია

მე ფალავნებს ვეჭიდავები და არა გოლიათებსო, დაახლოებით ასე გამოუვიდა რუსეთის ნაკრებს. ესაო, ისაო, ახლა რომ გვყავს, ასეთი გუნდი არასოდეს გვყოლიაო, სხვანაირი იმედით მივდივართ ევროპის ჩემპიონატზეო, მათმა კაპიტანმა სერგეი სემაკმა თქვა, საწყის 15 წუთში გოლს თუ არ გავუშვებთ, მერე ჩვენსკენ გადმოვა უპირატესობაო.

ცოტაც წაემატებინა და 20 წუთი ეთქვა. მერე ხომ მართალი იქნებოდა? „ვალენსიას“ ბომბარდირმა დავიდ ვილიამ სწორედ ამ წუთიდან დაიწყო კარნავალი, დაიწყო და მიჰყვა — ევრო 2008-ის პირველი ჰეთთრიქოსანი გახდა, არადა, ესპანელთა 7 ნომრის რუსეთთან თამაში სამიოდ დღის წინ საეჭვო იყო, რაკიღა ბარძაყი სტკიოდა.

ისე არ აგტკივდეთ არაფერი, რაც გუშინ ვილიამ ისეირნა რუსთა მცველებში. ჯერ ფერნანდო ტორესის კანფეტივით პასი აქცია გოლად, მერე ანდრეს ინიესტას დაუფასა გარჯა და ჩრდილოელთა მეკარე იგორ აკინფეევს ფეხებშუა გაუტარა ბურთი, მესამე გოლი კი ინდივიდუალური გარღვევით გაიტანა — საჯარიმომდე იარა, რომან შიროკოვს ლამის კისერი მოატეხინა და აკინფეევს დაბალი დაურტყა.

„ფურია როხა“ ბრწყინავდა: ისიც აშკარად ჩანდა, რომ ზოგჯერ ნებანება აგდებდნენ ტემპს, მერე კი ხუთწუთიულ აფეთქებას მოაწყობდნენ და რუსი ფეხბურთელებსაც ისეთი შეშინებულ-დაბნეული სახეები ჰქონდათ, როგორც ცხონებულ მსახიობ გეორგი ვიცინს თავის კინოგმირებში.

ვილიასი არ იყოს, დიდებული მატჩი ჩაატარა ინიესტამ, ხოლო ყველაზე სუსტად, რაც გასაკვირიც უნდა იყოს, რეალელი სერხიო რამოსი გამოიყურებოდა, რომელსაც „ნტვ-ფუტბოლის“ კომენტატორი ვასილი უტკინი „სერიოჟას“ ეძახდა. რამოსს დროდადრო ძალიან უჭირდა იური ჟირკოვთან გამკლავება. აი, მოედნის ცენტრში კი მარკოს სენამ და ხავიმ აშკარად დაჩაგრეს სემაკი და იგორ სემშოვი.

იღბალი? გუმანი გვაქვს, რუსები კონსტანტინ ზირიანოვის ძელსგარტყმულ ბურთს ხშირად გაიხსენებენ და იტყვიან, აი, ეს რომ გასულიყო... ეს მომენტი ვილიას პირველი გოლიდან ორ წუთში შეიქმნა, დმიტრი სიჩოვის ფლანგურ პასს ზირიანოვმა თითქოს კარგად დაამატა, თუმც კარგი რომ ყოველთვის გოლით მთავრდებოდეს...

პირველ ტაიმში კიდევ იყო ტორესისა და ვილიას რამდენიმე გაბრწყინება, მეორე ნახევარში კი რუსებმა თავიდან სცადეს მარწუხების მოჭერა, ვლადიმირ ბისტროვის სისწრაფის იმედი ჰქონდათ, თუმც ხუან კაპდევილამ რეაქტიული სპარტაკელი არ გაახარა და შეცვლაზე შესული უკანვე გააყვანინა გუს ჰიდინკს.

სადღაც 55-ე წუთიდან თამაშმა „ჩაიძინა“, რუსეთი წაგებას შეეგუა თუ არა, რა მნიშვნელობა აქვს, შეტევის თავი აღარ ჰქონდა. აი, ესპანელები კი მაინცდამაინც აღარ ცდილობდნენ გამწვავებას, მაგრამ ვილიამ არ მოისვენა და 3:0 გახადა.

ბოლოს კი გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს: რუსთა კუთხურისას რომან შიროკოვმა თავით გადაუგდო ბურთი თავის სეხნია პავლიუჩენკოს და მანაც თავით გაუტანა იკერ კასილიასს, ბოლო წუთზე კი ვილიამ წამოიწყო შეტევა, რასაც ხავის დარტყმული, აკონფეევის ხელიდან გავარდნილი ბურთი და შეცვლაზე შესული სესკ ფაბრეგასის ცარიელ კარში გატანილი თავური მოჰყვა.

ესეც თქვენი კიდევ ერთი ფავორიტი — „ფურია როხამ“ კლასი გადმოაფრქვია. ესპანელთაგან ასეთ ფეერიულ დაწყებას ჩვეულნი ვართ, მთავარია, გაგრძელება და დამთავრება თუ ექნებათ მათთვის არატრადიციულად ფეერიული...

ილია ნანოგაშვილი

ესპანეთის გმირი დავიდ ვილია

ვინ რა თქვა

დავიდ ვილია: „რა თქმა უნდა, დიდებულია, სამი გოლი რომ გავიტანე და ჩემპიონატი ბრწყინვალედ დავიწყეთ. თუმცა, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მხოლოდ პირველი მატჩი იყო და წინ კიდევ ორი ჯგუფური შეხვედრა გვაქვს“.

ლუის არაგონესი: „კმაყოფილი ვარ, თუმცა ამავე დროს ვფიქრობ, რომ პირველ ტაიმში იღბალიც ჩვენს მხარეს იყო. რუსებმა სერიოზულ წნეხში მოგვაქციეს.

დავიდ ვილია ბრწყინვალე იყო, მაგრამ ფერნანდო ტორესსაც ნუ დავივიწყებთ, რომელმაც ვილიას სივრცე გაუთავისუფლა.

გუს ჰიდინკი: „შეცდომები დავუშვით და კონტრშეტევებზე გამოგვიჭირეს, ეს ჩვენთვის ძალიან მტკივნეული გაკვეთილი იყო და იმედი მაქვს, სწორ დასკვნებს გამოვიტანთ“.

ჰეთ თრიქი ჰეთ თრიქად და, დავიდ ვილია სხვა რამითაც გამოირჩა, ვინ დაჯარიმდა ყველაზე მეტჯერ? დავიდ ვილია (6). ვის ეუხეშნენ ყველაზე მეტჯერ? დავიდ ვილიას (5). სამი გოლის გარდა ვილიამ კიდევ ორჯერ დაარტყა კარში და მეკარე ადგილზე დაუხვდა.

რუსთაგან კი ყველაზე „დაჩაგრული“ იური ჟირკოვია, მას ექვსჯერ ეუხეშნენ. თამაშგარეში ჩარჩენის „ჩემპიონი“ კი რუსი რომან პავლიუჩენკო გახლავთ (4).

ხავი ერნანდესმა და იური ჟირკოვმა 4-4 კუთხური ჩააწოდეს.

მატჩში გაკეთებული 895 პასიდან 73 ხავის ანგარიშზეა და ამათგან 89 პროცენტი ზუსტი იყო. ყველაზე უზუსტო კი ვლადიმირ ბისტროვი გახლდათ, რომელმაც 4 პასიდან 3 გააცუდა.

ყველაზე მეტი, 14 პასი დენის კოლოდინმა იური ჟირკოვს გაუკეთა.

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

D ჯგუფი

№8 საბერძნეთი 0:2 შვედეთი

10 ივნისი. ზალცბურგი (ავსტრია). „ვალს-ზიცენჰაიმი". 31 063 მაყურებელი

0:1 იბრაჰიმოვიჩი (67), 0:2 ჰანსონი (72)



შეცვლა: გეკასი – 7. სამარასი (46), დელასი – 20. ამანატიდისი (70), იბრაჰიმოვიჩი – 11. ელმანდერი (71), ალექსანდერსონი – 5. სტაურორი (74), ვილჰელმსონი – 22. როზენბერგი (78)

გაფრთხილება: ხარისტეასი (1), სეიტარიდისი (51), ტოროსიდისი (61)

მსაჯები: მასიმო ბუზაკა (შვეიცარია); მატიას არნეტი (შვეიცარია), სტეფან ჯუა (შვეიცარია)

12	ჯარიმა	14
6	კუთხური	6
2	ჯარისკენ დარტყმა	7
5	ჯარში დარტყმა	3
2	თამაშგარე	3
33,11 წთ	ბურთის ფლობა	27,25 წთ
54%	ბურთის ფლობა	46%

წამით აღრე ზლატანმა სუპერგოლი გაიტანა

ბერძნებს პორტუგალიური აღარ გამოუვიდათ

პირველი წრის ბოლო მატჩი ევროპის ჩემპიონი საბერძნეთის დამარცხებით დასრულდა და გულწრფელად რომ ვთქვათ, ბერძნების წაგება სენსაციად ვერც ჩაითვლება — ევროპის ჩემპიონები კი არიან, მაგრამ ფავორიტად, აბა, ვინ ჩათვლის...

შვედთა მძლავრი შემტევების, ზლატან იბრაჰიმოვიჩისა და ჰენრიკ ლარსონის საწინააღმდეგო იარაღი ოტო რეჰაგელს არ აღმოაჩნდა და, მაინცდამაინც, ვერც ისაკსონის კართან შექმნეს ბერძნებმა რაიმე გამოსარჩევი. ყველაზე დასამახსოვრებელი ეპიზოდი ის იყო, მცველმა კინალამ საკუთარ კარში რომ შეაგდო.

ახლა, 14 ივნისს, ლარს ლაგერბაკის გუნდი ლუის არაგონესის ესპანეთს შეხვდება და გამარჯვებული მეოთხედფინალში გასვლას გაინაღდებს.

თამაშის დასაწყისში ბერძენთაგან სხვებზე აქტიური გერმანული „ნიურნბერგის" ფორვარდი ანგელოს ხარისტიასი იყო. ეს აქტიურობა იმაშიც აისახა, რომ პირველივე წუთზე მსაჯს შეეკამათა და ყვითელი ბარათი აიკიდა.

მთლიანობაში პირველი ტაიმი საკმაოდ მოსაწყენი გამოდგა, რაკი სახიფათო მომენტები თითქმის არ შექმნილა. ჯაჯგური კი იყო. მეტოქეები მოედნის ყოველ მონაკვეთზე ასკდებოდნენ ერთმანეთს და გნებავთ ერთ, გნებავთ მეორე კართან, მიახლოება ჭირდა. ოთხი წლის წინანდელ ჩემპიონებს თუ გაიხსენებთ, თამაშის ასეთი მსვლელობა მოსალოდნელი იყო, რაკი ბერძნები სწორედ ასე გახდნენ პორტუგალიაში ჩემპიონები.

პირველი ნაღდი მომენტი კი შვედებს ნახევარ საათში მიეცათ, ზლატან იბრაჰიმოვიჩს თავურით შეეძლო გატანა, მაგრამ დარტყმის ძალა და მიმართულება ოდნავ ვერ გათვალა.

შესვენების მერე შვედებმა კიდევ უფრო მწარედ შეუტიეს და პირველ გოლამდეც რამდენიმე მომენტი შექმნეს. მათგან გამორჩეული კი ვილჰელმსონისა იყო, ნიკოპოლიდისისთვის თავზემოთ რომ ცდილობდა ბურთის გადაგდებას.

მერე კი იბრაჰიმოვიჩმა შეაგდო საჯარიმოს კუთხიდან უძლიერესი დარტყმით შორ კუთხეში. ნიკოპოლიდისმა ბურთს თითები თითქოს წაატანა, მაგრამ...

მეორე გოლი კი ბერძნებმა მართლა უაზროდ გაუშვეს — მეკარეს და ორ მცველს თავდამსხმელი, წესით და რიგით, ვერ უნდა ჯობნიდეს და მეკარეც ფეხებშუა არ უნდა უშვებდეს.

კოტე კეკელია

ვინ რა თქვა

ოტო რეჰაგელი: „ორ ეპიზოდში დასანანი შეცდომები დავუშვით და დავისაჯეთ. შვედებმა წნეხში მოგვაქციეს, ჩვენ კი იგივე ვერ შევძელით. საკვანძო მომენტებში, როცა თამაშის გარდატეხა შეიძლებოდა, მებრძოლი სულისკვეთება ვერ გამოვავლინეთ.

მომდევნო თამაში რუსეთთან გვაქვს და ვალდებულები ვართ, რაღაც განსხვავებული გავაკეთოთ... უბრალოდ, ვალდებულები ვართ".

ზლატან იბრაჰიმოვიჩი: „დღეს რთული თამაში გვქონდა, რომელიც მრვიგეთ და მთავარიც ესაა. თავს უბედნიერეს კაცად ვგრძნობ. თავდამსხმელებისთვის ასეთი თამაშები იოლი არ არის ხოლმე — ბერძნებმა ხომ სამი ცენტრალური მცველი დაგვიპირისპირეს.

მატჩის მსვლელობისას ჯამში 980 პასი გაკეთდა, რომელთაგან მოკლე 199 იყო, საშუალო სიგრძისა — 604, ხოლო 177 პასი გრძელი გახლდათ. ყველაზე მეტი პასი სოტირის კირიაკოსმა გასცა (72), ხოლო სვებზე ზუსტი პასები პარასკევას ანცასმა და ანგელოს ბასინასმა გააკეთეს — მათი პასების 90 პროცენტი ზუსტი იყო.

ყველაზე უხეში ფეხბურთელი ზლატან იბრაჰიმოვიჩი გამოდგა, ის ოთხჯერ დაჯარიმდა, ყველაზე მეტჯერ კი გიორგოს კარაგუნისი წააქციეს (4).

შვედთა ექვსივე კუთხური ანდერს სვენსონმა ჩააწოდა, ხოლო ბერძნებისა — გიორგის კარაგუნისმა (5) და ანგელოს ბასინასმა (1).

პეტერ ჰანსონმა (შუაში) მეკარესა და ორ მცველ აჯობა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობაინი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge